სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 9 ივნისი 1918 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთობა

ფასი 40 კაპ.

გაზეთი ღირს: 1 თვით 9 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: **Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба“.** სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. **Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).**

ტელეფონი 16—62.

№ 118 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 118

ქართული კლუბი

ეროვნული კონცერტი

კვირას, 9 ივნისს, ქართველთა სამხედრო კავშირის ქალ ვაჟთა მომღერალი გუნდი კომპოზიტორ **ნ. პ. სულხანიშვილის** ლოტბარობით შეასრულებს ქართველ კომპოზ. ნაწარმოებთ. ქ-ნ კალანდაძის, ოპერის მომღერალ ი. პ. სარაჯიშვილის და ბ. ვ. ლორთქიფანიძის მონაწილეობით.

განყოფილება პირველი. 1) **კ. ფოცხვერაშვილი** ლაშქრული, შეასრულებს გუნდი. 2) **ზ ფალიაშვილი** ალიფაშა, შეასრულებს გუნდი. 3) **დ. არაყიშვილი** „ნეტავ ქება“ ოპ. „შოთა რუსთაველიდან“, სოლოს შეასრულებს **ვ. ლორთქიფანიძე.** 4) **მ. ბალანჩივაძე** სამშობლო ხევსურისა, შეას. გუნდი. 5) **ნ. სულხანიშვილი** მესტვირული, სოლოს გუნდთან შეას. **ვ ლორთქიფანიძე.**

განყოფილება მეორე. 1) **ვ. ჯაბადარი** ა) სული ობოლი, ბ) სატრფოვ რომანსები, შეასრულებს **ქ ნი კალანდაძე.** 2) **დ. არაყიშვილი** მოგელი, რომანსი შეასრ. **ქ-ნი კალანდაძე.** 3) **ზ. ფალიაშვილი** ნანა, შეასრ. გუნდი. 4) **ა. ყარაშვილი** ა) მრავალ-ჟამიერ, ბ) მურია შეასრულებს გუნდი. 5) **ნ. სულხანიშვილი** სამშობლო ხევსურისა, სოლოს გუნდთან შეას. **ი. პ. სარაჯიშვილი.**

განყოფილება მესამე. 1) **ნ. სულხანიშვილი** გუთნური სოლოს გუნდთან შეასრ. **ი. პ. სარაჯიშვილი.** 2) **დ. არაყიშვილი** რომანსები, შეასრ. **ი. პ. სარაჯიშვილი.** 3) **მ. ბალანჩივაძე** რომანსები, შეასრ. **ი. პ. სარაჯიშვილი.** 4) **ნ. სულხანიშვილი** მაშ გამარჯვება შეასრ. გუნდი.

კათალიკოსის შესახვედრად გუნდი შეასრულებს „ტონ დესპოტინს“ ამ შემთხვევისთვის დაწერილს ნ. პ. სულხანიშვილის მიერ.

აკომპანიმენტს როიალზე შეასრულებს **ქ ნი ნ. მესხიშვილი.**

კონცერტის გამგე **ილიკო აბაშიძე.** დასაწყისი საღ. 8 ნახ. საათ.

სადღეისო

ჩვენი ხალხი დემოკრატიული ხალხია. არა მარტო იმიტომ, რომ იგი წვრილ მეურნეობას მისდევს, არა მარტო იმიტომ, რომ იგი გლეხთა უმრავლესობისაგან შესდგება, არამედ იმიტომაც, რომ იგი ერთიანათ მთელ თავის ბედნიერებას დემოკრატიულ წყობილების განმტკიცებაში ხედავს და ამიტომ ყველაზე დემოკრატიულ პარტიას—სოციალ დემოკრატიას მისდევს.

ეს გარემოება განსაკუთრებულ მოვალეობას ადებს მუშათა პარტიას. პროგრამული და ტაქტიკური დებულებანი, რომელნიც ევროპის მუშათა პრაქტიკამ შეიმუშავა და რომელიც უმთავრესათ ამ კლასის ოპოზიციაში ყოფნასთან არის შეთანხმებული, ამ ჟამათ მაინც ჩვენში უცვლელათ ვერ განხორციელდება. ჩვენ იგი უნდა ადგილობრივ ცხოვრების პირობებს შევუფარდოთ, როგორც ამას მარქსის დიალექტიკა გვასწავლის. ევროპის მუშათა კლასი, მაგალითად, გაურბის მთავრობაში შესვლას და ბურჟუაზიულ წყობილებაში მართვა-გამგეობის პასუხისმგებლობის თავის-თავზე მიღებას. მაგრამ იქ ამ წყობილებას უკვე ჰყავს მაგარი დამცველი. მას არ მოელის არავითარი საფრთხე. იგი უკვე ამა თუ იმ სახით განმტკიცებულია, გამაგრებულია, ერთ გარკვეულ გზაზე დაყენებულია.

სულ სხვაა ჩვენში. რევოლიუციის ქარტეხილმა გააუქმა ძველი შენობა სახელმწიფოსი—და ეს მოხდა მუშათა კლასის მეთაურობით. როცა დგება საკითხი ახალი შენობის აგებისა,—მეთაურობა საქართველოში მაინც ისევ დემოკრატიას რჩება. მუშათა დემოკრატია, აღჭურვილი ხალხის დიდი უმრავლესობის ნდობით, ან უნდა გადადგეს და ამით თავის გაკოტრება გამოაცხადოს, ე. ი. დემოკრატიის სამსახურზე ხელი აიღოს, ცხოვრებიდან განზე გადგეს, რაც მისთვის და მთელი ხალხისთვის მომაკვდინებელი იქნებოდა, რაც დემოკრატიულ წყობილების ბედ-იღბალს, ვინ იცის, ვის ხელში ჩააგდებდა, ან და თვით იკისროს ამ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოვალეობის ასრულება.

საფრანგეთის სოციალისტებმა, როცა საფრანგეთის ბურჟუაზიულ რესპუბლიკას საფრთხე მოელოდა შინაურ მემარჯვენეთაგან ან გარეშე შემოსევისაგან, თავის უმთავრეს მიზნათ დაისახეს რესპუბლიკის დაცვა, როგორც ისეთი წყობილების, რომელიც ყველაზე უკეთ უზრუნველჰყოფს მუშათა კლასის ინტერესების შერჩენას ბურჟუაზიულ ურთიერთობის ეპოქაში.

სანამ სოციალიზმი განხორციელდებოდეს, დემოკრატიული წყობილება საუკეთესო წყობილებაა მუშათა კლასისთვის. კიდევ მეტი, დემოკრატიული წყობილება ერთად-ერთი გზა და ხიდია მომავალ შრომის სუფევის დასამკვიდრებლათ. მხოლოდ ამ დემოკრატიულ თავისუფლების ხანაში ეძლევა საშუალება მუშათა კლასს თავისი ნიჭი და უნარი განავითაროს, სახელმწიფო მექანიზმით სარგებლობა ისწავლოს, პოლიტიკურათ გაიწაფოს, მიიღოს დაუფასებელი გაკვეთილები საზოგადოებრივი ცხოვრების მოწყობისა და მოწესრიგებისა: ადგილობრივ თვითმართველობებში მუშაობით, საპარლამენტო მოღვაწეობით, სხვადასხვა დარგებში შრომით, უმთარესათ კი თავისუფალ კლასობრივ პოლიტიკურ და პროფესიონალურ ორგანიზაციების საშვალებით იგი ხდება არა ობიექტი მართველობის, არა საგანი, რომელზედაც სხვები ვარჯიშობენ, არამედ სუბიექტი, საზოგადოებრივ ინიციატივის და შემოქმედების მატარებელი, რომელიც თვით განაგებს და აწესრიგებს ცხოვრებას. ან ყოველ შემთხვევაში ამაში დიდ აქტიურ მონაწილეობას იღებს. ამიტომ დემოკრატიულ წყობილების განმტკიცება უდიდესი და უსაჭიროესი რამ არის მუშათა კლასისთვის. ფინლიანდიის ს. დ. რომელიც ერთი შეხედვით რუსეთის ბალშევიზმს აყვა მიმდინარე რევოლიუციაში ნამდვილათ დიდი რევოლიუციური გამჭრიახობა გამოიჩინა იმით, რომ დემოკრატიზმის სრული განხორციელება დაისახა მიზნათ და არა სოციალისტური ექსპერიმენტების მოხდენა. და თუ არა გარეშე ტლანქი ძალა, იქ ამ ბრძოლიდან უეჭველათ გამარჯვებული გამოვიდოდა და დემოკრატიულ წყობილების სამაგალითო ნიმუშს მოგვცემდა.

საქართველოში სოც.-დემოკრატიის მდგომარეობა ფინლიანდიის სოც.-დემოკრატიაზე ნაკლებ არ არის შინაური ძალთა განწყობილების ფარგლებში გამაგრებული. თუ ფინლიანდიაში იგი ხალხის ნახევარს იზიდავდა, ჩვენში დღეს-დღეობით მაინც ხალხის ცხრა მეათედი მას აძლევს თავის სიმპატიას, მას ერწმუნება, მის ხელმძღვანელობას აღიარებს. ეს გარემოება შინაობაში დიდ ძალას აძლევს სოციალდემოკრატიას თავის დემოკრატიულ მიზნების მიღწევაში, მარა, როგორც ერთ წინა წერილში გვქონდა აღნიშნული, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს თანაგრძნობა არის არა სოციალიზმისადმი, არამედ დემოკრატიზმისადმი. ჩვენგან ელიან არა კომუნისტურ ექსპერიმენტებს, არამედ მწყობრ დემოკრატიულ თავისუფალ წესების შემოღებას, რომელიც ხალხის, დემოკრატიის პოლიტიკურ სუვერენობის რეალური განცხორციელება იქნება თვით მასისათვის. ყველაფერი ხალხისთვის—ყველაფერი ხალხის საშვალებით. აი მოკლე ფორმულა ამ დემოკრატიზმის. და ამის განხორციელებას მოელის ჩვენგან საქართველოს დემოკრატია.

სახელმწიფო და დემოკრატია

სახელმწიფო იძულებითი დაწესებულებაა. მისი მთავარი ფუნქცია, ესაა ძალდატანებით შესრულება ყველა მისი განკარგულების და დადგენილების. ამ ძალდატანებას იგი ახორციელებს განსაზღვრულ ტერიტორიალურ ფარგლებში, რომელიც მის საზღვრებში არის შემოზღუდული.

დემოკრატია კი ნებაყოფლობით, ერთი იდეიით, აზრით და მისწრაფებით გამსჭვალულ ხალხის კრებულია, რომელსაც აერთებს ერთობა ეკონომიურ და კულტურულ პოლიტიკური ინტერესებისა. მარა, როცა დემოკრატია სახელმწიფოს სათავეში უდგება, მას არ შეუძლია თვით სახელმწიფო ასეთ ნებაყოფლობით და იდეურ საზოგადოებათ აქციოს.

ეს არც არის მისი მიზანი. მართალია რევოლიუციის პირველ ხანებში დროებითი მთავრობა განსაკუთრებით კერენსკის მოწოდებები უმთავრესათ იმას უსვამდენ ხაზს, რომ ამიერიდან თვით ხალხის შეერთებაზე და გონიერ, შეგნებულ მორჩილებაზეა დამოკიდებული წესიერების დაცვა, დემოკრატიზმის განხორციელება, მაგრამ ეს იყო არა სახელმწიფოებრივი მოქმედება, არამედ ძველი პარტიული ტრადიციების გადატანა იმ სფეროში, რომელთაც იგი არ შეესაბამებოდა. მხოლოდ პოლიტიკური ჯგუფების შეერთება ხდება ინტერესთა სოლიდარობის მიხედვით. სახელმწიფოში კი თავს იყრიან ერთი-მეორის პირდაპირი მოწინააღმდეგე და მებრძოლი ძალები, თავის განსაკუთრებული კლასობრივი ინტერესებით, მიზნებით, მისწრაფებებით და სხვ. ერთი ინტერესის განხორციელება აუცილებლათ იწვევს მეორის დაჩაგვრას და, მაშასადამე, წინააღმდეგობას. ცხადია აქ ძალდაუტანებლათ რაიმე ზომის განხორციელება შეუძლებელია.

ეს თვით ცხოვრებამ და წლინახევრის რევოლიუციურმა პრაქტიკამ მთელი მასსისათვის თვალ-საჩინო გახადა. ძლიერი მთავრობა,—გაიძახის ხალხი, იძულების მიმყენებელი მთავრობა თხოულობს ის, და ამაში ხატავს მთელ თავის პრაქტიკულ ალღოს სახელმწიფოებრივი ძალის არსებობის აუცილებლობისას. სახელმწიფო არ ქადაგებს, იგი მოქმედებს. ქადაგებენ და არწმუნებენ პარტიები, განმანათლებელი და კულტური საზოგადოებები, თავისუფალი კავშირები. სახელმწიფო კი ეყრდნობა რა ყველა ამათ ნამუშევარს, ქმნის ცხოვრებას, ამოძრავებს მთელ ხალხს, როგორც ერთ მჭიდრო ორგანიზმს. ბევრს ეგონა დღემდე მაინც, რომ ძალდატანების ხმარება—დემოკრატიზმის სრული უარყოფაა. ფსიხოლოგიურათ ამას პარტიული მუშაობის პრაქტიკა აძლევდა საფუძველს, ხოლო ძველი სახელმწიფოსადმი სიძულვილი და ბრძოლა ამაგრებდა.

მაგრამ სწორი, საღი დემოკრატიული შეხედულება სრულიადაც არ თხოულობს ასეთ ტოლსტოისებურ საზოგადოების შექმნას; სახელმწიფო ძალდატანების გარეშე მხოლოდ ანარქისტულ საზოგადოებათა და ჯგუფთა კრებული იქცევა, რომელთა შორის უმალვე უსაშინელესი და უძლიერესი ბრძოლა და შფოთი დაიწყება.

დემოკრატიზმი—კი ასეთ არევ-დარევას ეწინააღმდეგება. იგი სახელმწიფოს არ აუქმებს. მაშასადამე არც ძალდატანებით მოქმედებას უარყოფს.

დემოკრატიზმი ეს მხოლოდ სახელმწიფო აპარატის—ხალხის ხელში გადასვლაა. დემოკრატიზმი—ეს მხოლოდ სახელმწიფო აპარატის ისეთნაირათ მოწყობაა, რომ იგი მთელი თავის ძალდამტანებელი საშვალებებით დემოკრატიას, ხალხს უწევდეს ანგარიშს, მის ინტერესებს ემსახურებოდეს. თუ სახელმწიფო თვითმპყრობელურია—მისი ძალდატანება მხოლოდ მეფისა და მისი კარისკაცების სასარგებლოთ ატრიალებს სახელმწიფოს მანქანას—ხალხი კი იტანჯება. თუ სახელმწიფო ბურჟუაზიულ ლიბერალურია—იგი მხოლოდ მდიდართა შედარებით მცირე ნაწილს დაიცავს, ხალხს კი გვერდს აუვლის და ძალდატანებით სხვის საწველ ფურათ გახდის.

მაშასადამე, ორივე შემთხვევაში ჩვენ წინ გვექნება უმცირესობის ძალდატანება უმრავლესობაზე. და ამიტომაც უსამართლოა, ადამიანი უმრავლესობის დამჩაგვრელია. დემოკრატია კი აწარმოებს ძალდატანებას უმრავლესობის სურვილით უმცირესობის წინააღმდეგ. აქ ხალხი, მილიონები ბატონობენ ათასებზე და მათგან მოითხოვენ საყოველთაო ნების საყოველთაო გადაწყვეტილების ასრულებას.

ხოლო ურჩთ და შეუსმენელთ სახელმწიფო ძალდატანებითი საშვალებებით აიძულებენ ხალხის სურვილს არ გადაუდგენ.

ამ რიგათ დემოკრატიაც ძალდატანებაა. მარა ძალდატანება სამართლიანი, რადგან იგი ხალხის უმრავლესობას ეყრდნობა და მის სურვილს შეიცავს.

და ასეთი ძალდატანება უნდა აუცილებლათ მიღებულ იქნეს. ჩვენ ტოლსტოველები არა ვართ. ჩვენ სახელმწიფოს ვქმნით და ყველა მისი ატრიბუტებით უნდა ვისარგებლოთ.

მაშინ და ახლა

ასი წლის წინეთ საქართველოს მთავრობა იძულებული გახდა ძლიერ რუსეთს შეჰკედლებოდა. ოსმალეთ-სპარსეთის საფრთხეს ვერ გაუმკლავდა საკუთარის ძალებით მაშინდელი საქართველო და ძლიერს საქრისტიანო სახელმწიფოს სთხოვა მფარველობა. რუსეთსა და საქართველოს შორის დადებულ იქნა ხელშეკრულობა, რომლის ძალით საქართველო განსაკუთრებულ უპირატესობას ანიჭებდა რუსეთს, სამაგიეროთ ეს უკანასკნელი საჭიროების დროს შეიარაღებულ ძალით უნდა დახმარებოდა საქართველოს. ხელშეკრულობის ძალით რუსეთს ნება არ ჰქონდა საქართველოს შინაურ საქმეებში ჩარეულიყო.

რუსეთს გაუხსნეს დარიალის კარი და მისი ჯარები საქართველოში შემოვიდა. ამ რიგათ საფუძველი ჩაეყარა რუსეთის მფარველობას, დამყარდა ეგრეთ წოდებული პროტექტორატი.

მაგრამ რუსეთის ბიუროკრატიას სულაც არ აწუხებდა საქართველოს ბედ-იღბალი. მართალია რუსეთის მაშინდელმა იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა დიდი ზეიმით განაცხადა, რომ მას არ აინტერესებს ისედაც დიდი სახელმწიფოს გაფართოება, მაგრამ იმპერიალისტური მიზანი სულ სხვა გზაზე აყენებდა მას. მას თავიდანვე განზრახული ქონდა მოხერხებული შემთხვევით ესარგებლნა და საქართველო გაეხადა რუსეთის ჩვეულებრივ გუბერნიათ. მოხერხებულ შემთხვევასაც დიდი ლოდინი არ სჭირდებოდა. რუსეთში იმ დროს საბოლოვოთ განმტკიცებული იყო აბსოლიუტური წყობილება, რომელსაც ჯერ კიდევ პეტრე პირველმა ჩაუყარა საძირკველი. აბსოლიუტიზმი კი მოასწავებდა ერთგვარი წესის არსებობას, ერთს ძლიერს სახელმწიფოებრივ აპარატს.

სულ სხვა სურათს წარმოადგენდა იმ დროინდელი საქართველო, რომელიც გაყოფილი იყო სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ. თვით ქართლ-კახეთის სამეფო, რომელიც მეფე ერეკლესა და შემდეგ გიორგი მეთორმეტის დროს გადავიდა რუსეთის მფარველობის ქვეშ, არ წარმოადგენდა სახელმწიფოს ამ სიტყვის ნამდვილ მნიშვნელობით. ძლიერი იყო ფეოდალური წყობილება, ერთი კუთხე რომელიმე თავადის მეთაურობით მეორე კუთხეს ებრძოდა და მეფის უფლებას და ძალას მოჩვენებითი ხასიათი ქონდა.

ასეთ წესს, რასაკვირველია, ვერ შეურიგდებოდა მაშინდელი თვითმპყრობელობა და ამიტომ მან ერთი დაკვრით გააუქმა საქართველოსთან დადებული ხელშეკრულობა, ჩვენი ქვეყნის შინაურ საქმეებში ტლანქათ ჩაერია და ჩვენი ეროვნული ცხოვრება გააჩანაგა. მართალია, მან დაამყარა ერთნაირი წესი, გადაარჩინა ხალხი სპარსეთ-ოსმალეთის ბრბოების შემოსევას და შინაურ ფეოდალების აღვირ-ახსნილ ბატონობას, მაგრამ იმავე დროს მან ფეხქვეშ გათელა ხალხის წმინდათა წმინდა, მოუსპო მას გზა თავისუფალ განვითარებისა. ამ მონობის ბეჭედი დღესაც აზის საქართველოს ხალხს, თუმცა მან შეინარჩუნა ფიზიკური არსებობა.

დღესაც იმ ყოფაში ვართ, რა ყოფაშიაც ასი წლის წინათ ვიყავით. რუსეთი მოგვშორდა და კვლავ ოსმალეთის საფრთხის წინაშე ვდგევართ. და როგორც მაშინ გამოგვიჩნდა მფარველი ძლიერ რუსეთის სახით, ისე დღეს ვეძებთ მფარველს. მფარველი ვიპოვეთ კიდეც. ეს არის ძლიერი გერმანია.

არა კაცთმოყვარეობის გრძნობა ამოძრავებს გერმანიას, მას მნიშვნელოვანი ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესები აქვს ჩვენს ქვეყანაში. ჩვენთვისაც ხელსაყრელია გერმანიის მფარველობა, რადგან ამ გზით შეგვიძლია ჩვენ ოსმალეთის მონობისაგან დავიხსნათ თავი.

როგორც მეთვრამეტე საუკუნის გასულს მძვინვარებდა ჩვენში ანარქია, ისე დღესაც სულს გვიხუთავს ის, რასაც მაშინ ძლიერი თავადები ჩადიოდენ, იმას ჩადიან დღეს ეგრეთ წოდებული ბალშევიკები, რომელნიც ხან აქ, ხან იქ გვიწყობენ აჯანყებებს. როგორც ასი წლის წინათ ადვილათ შეურიგდა ქართველი ხალხი რუსეთის მიერ ჩვენ შინაურ საქმეებში ჩარევას, ისე ადვილათ შეურიგდება ის სხვა სახელმწიფოს გავლენას, თუ ამ უცხო სახელმწიფოს ხვდა წილათ ჩვენში წესიერების აღდგენა. ეს გარემოება არ უნდა დაივიწყოს განსაკუთრებით ჩვენმა რევოლიუციონურმა ორგანიზაციებმა. მათ დიდი ღვაწლი დასდეს რევოლიუციის და სამშობლოს დაცვის საქმეს, დღემდის უვნებლათ მოიყვანეს სამშვიდობოს სახელმწიფო ნავი. შეცვლილი პირობების მიხედვით, საჭიროა ამ ორგანიზაციებმა ხელი შეუწყონ ძლიერ ცენტრალურ მთავრობის შექმნას. ყველა საუკეთესო ძალები ცენტრალურ მთავრობის შექმნას უნდა მოანდომონ. ამაშია ჩვენი ხსნა. ეს დააკმაყოფილებს ანარქიისგან დაქანცულ საზოგადოებას, რომელიც მოუთმენლათ ელის ძლიერ მთავრობის შექმნას.

არ უნდა დავივიწყოთ უკრაინის მაგალითი, სადაც გერმანიის ჯარებმა იდვეს თავს წესიერების აღდგენა და ხალხის წარმომადგენლობა—რადა გარეკეს.

რევოლიუციონურმა და დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა უნდა შესძლონ უდიდესი მსხვერპლის გაღება, მთელი თავისი ენერგია ძლიერ ცენტრალურ მთავრობის შექმნას უნდა მოანდომონ და ამ გზით გადაარჩინონ ქვეყანა უცხო სახელმწიფოს ჩარევას. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი დემოკრატია დიდი ხნით გაისრისება უცხო სახელმწიფოს მილიტარისტულ ჩექმით, როგორც ის ამ ასი წლის წინეთ გაისრისა ჩრდილოეთის დათვის მოუხეშავი თათებით.

გლოვის დღეები

ზავი შევკარით, ოთხი წლის ნანატრი ზავი. ვიბრძოდით ამ იდეიისთვის ძველი და ახალი მთავრობის დროსაც, მიგვქონდა მსხვერპლათ, რაც კი შეგვეძლო დაგვეხარჯა ჩვენი სუსტი ძალებიდან და ხალხი, ომისაგან დაღლილი, მოქანცული ხალხი მოუთმენლად მოელოდა ამ დღეს.

ზეიმი გვმართებს და სიხარული, რომ ვეღირსეთ ნანატრ დღეებს, რომ შეჩერდა სისხლის გუბეები და დედას შეაშრა ცრემლები მწუხარებისა, ოჯახს დაუბრუნდა მარჩენალი, თავის ოფლით და შრომით რომ კვებს ღარიბ-ღატაკ ქოხს, თავის წვრილშვილს...

და თფილისი, დიდი თფილისი, რომლის გულში ოთხი წელია ღვივის ბოღმა და პროტესტი ომის წინააღმდეგ, რომელმაც პირველი ხმით გააპო რუსეთის დიდი რეაქციის კედლები და ძმათა სისხლით მორწყულ ველებს ზავისკენ მოუწოდა, ეს თფილისი უნდა მხიარულობდეს დღეს, საზეიმოთ უნდა იყვეს მორთული მისი ცოცხალი, მუდამ ხალხით სავსე და მოფუსფუსე ქუჩები.

მაგრამ თითქო არაფერი მომხდარა, ვაგრძელებთ ძველ გზას და ხალხი, მიუხედავათ იმისა, რომ მიიღო „ზავი“, კიდევ მოელის ზავს, მოელის იმ დღეს, რომელზედაც ფიქრობდა ოთხი წლის განმავლობაში, რომლისთვისაც იბრძოდა ის. ქუჩებზე კი მოდიან დაუსრულებლათ, ურმებით და ფურგუნებით, მოდიან თავის ბარგით წვრილ შვილით, მოაქვთ რაც მოუსწრიათ და ვისაც შესძლებია. ფეხშიშველა, ძონძებში გახვეული. თვალცრემლიანი, ბოღმით და მწუხარებით სავსე მიაბიჯებს ეს ხალხი გოლოვინის პროსპექტით და მიყვება თავის კარ-მიდამოს მოგონებას, რომელიც ლოგინის და სხვა ნივთების სახით უწყვია ურემზე და მიდის, მარა არც იცის სად, ვის მიადგება, ვინ მიიღებს, ვინ ეტყვის თფილ სიტყვას, ავადმყოფს და დავრდომილს ვინ მოუვლის... სტირის ბავშვი და თმა გაწეწილ დედას მისდევს უკან, იკარგება ის ამ ზღვა გადმოხვეწილ მგლოვიარე ხალხში, რომელთა ცრემლები და ქვითინი ერთი დაუსრულებელი ზარია და მოთქმა.

სად მიდის ეს ხალხი!.. ეხლა ხომ ზავია? უნდა დაუბრუნდეს თავის კარ-მიდამოს, მარა მაინც მიდის, შველას ითხოვს... იქ, მის მამულ-დედულში, იწვის მისი სახლ-კარი, არბევენ ყველაფერს, უცივებენ კერას და მორბის, მორბის და მოაქვს, რაც კი ხელში მოხვდა. მოდიან, დაუსრულებლათ მოდიან განადგურებულ მიდამოებიდან და დიდუბე-საბურთალოს მინდვრის კალთებს ეხიზნებიან, მხოლოდ ეს, ეს მინდვრები იღებს ამ ბედკრულთ და მომაკვდავთ, უდანაშაულო მსხვერპლთ და წამებულთ.

ასე უგზო-უკვლოთ, უპატრონოთ და უიმედოთ ეხიზნება დღეს მთელი სომხის ერი, განაწამები და ტანჯული ერი, რომელსაც ჯოჯოხეთი დაუნთეს სამშობლოში და ლამობენ მისი შვილების დაწვას, მისი მიდამოების უდაბნოთ ქცევას. და ეს გადმოხვეწილი ხალხი ერთი შტოა იმ დიდი ტრაგედიის, რომელსაც დღეს ამიერ-კავკასიაში განიცდით ყველა ქრისტიანი ერები.

ჩვენ კიდევ ვიბრძოლებთ ზავისათვის. ისე როგორც წარსულში ყველაფერს ვსწირავდით ზავის საქმეს, მომავალშიც მივიტანთ მსხვერპლს, ჩვენს კარზე ჩამოკიდულ მტრის

მახვილს მოვხსნით და დაბრუნდება მაშინ ეს გადმოხვეწილი, აცრემლებული და დარბეული ხალხი თვის პარტახებში, მონახავს თავის მამულ-დედულს. მაშინ, მხოლოდ მაშინ შეიცვლება გლოვის დღეები ზავის სამხიარულო დღეებათ, მაშინ ერთნაირათ გაბრწყინდება ბათუმი, მესხეთ-ჯავახეთი და უბედური სომხეთიც.

ჩვენ მოველით ამ დღეს და დემოკრატია კვლავ ძველი გზით, ისე როგორც ოთხი წლის განმავლობაში, გაარღვევს გლოვის კედლებს და შეაშრობს ცრემლებს მგლოვიარე დედას, აკვნიდან გადმოვარდნილ ბავშვს მოუნახავს თვის ბაგას.

მივისწრაფოთ ასეთ ზავისაკენ, გაუმარჯოს ასეთ ზავს. **ლ. რ.**

ჟურნალ-გაზეთებიდან

კავკასიის ტრაგედია.

ამ სათაურით „ნოვ. ჟიზნ“-ში მოთავსებულია ბ. ავილოვის შემდეგი წერილი:

გერმანიისა და ოსმალეთის ჯარები ბრესტის ხელშეკრულების შესასრულებლად განაგრძობენ შემოტევას კავკასიის ფრონტზე. ბათუმის აღების შემდეგ ოსმალეთის ჯარმა ოსმალეთის მთავარი სადგომის ცნობით, „წინ წაიწია ყარსისაკენ და დაიკავა ქ. ოზურგეთი, რომელიც მდებარეობს 30 კილომეტრის მანძილზე ბათუმიდან“. გუშინ მიღებულ ცნობებით, კავკასიის ფრონტის რაზმმა და ეროვნულმა ჯარებმა შესძლეს მოწინააღმდეგის უკუქცევა არდაგან-ყარსის ხაზისაკენ.

იმის შესახებ, თუ რა საშინელება მოსდევს გერმანელებისა და ოსმალოების შემოტევას, შეგვიძლია წარმოდგენა ვიქონიოთ „პეტრ. ეხო“-ს შემდეგი ცნობით: ასტრახანში ჩამოსული ლტოლვილი სომხები გადმოგვცემენ იმ საშინელების შესახებ, რომელსაც განიცდის ამიერ-კავკასიის სომხობა. იქ ხდება სომხების სრული გაჟლეტა თურქების, ქურთების და თათრების მიერ.

ოსმალეთის ჯარი მოიწევს თფილისისაკენ.

კავკასია სისხლისგან იცლება უთანასწორო ბრძოლაში.

და ასეთ დროს საბჭოთა მთავრობა გზავნის იქ დამსჯელ რაზმს მენშევიკების „აღმოსაფხვრელათ“ და „საბჭოთა ძალა უფლების“ დასამყარებლათ.

თფილისის გაზეთების ცნობით ბოლშევიკებმა თერგის ოლქიდან და კავკავიდან განიზრახეს ბოლო მოუღონ ამიერ-კავკასიის სეიმს, რომლის უმრავლესობას მენშევიკები და ს.-რევოლიუციონერები შეადგენენ და აწყობენ დამსჯელ რაზმს, რომელიც წავა ორი მიმართულებით: კავკავიდან მამისონის უღელტეხილით ქუთაისის გუბერნიაში და საქართველოს სამხედრო გზით თფილისში. დამსჯელ რაზმში შედიან მატროსები, ჯარისკაცები, კაზაკები და მართლმადიდებელი ოსები. მუსულმანი ოსები იცავენ ნეიტრალიტეტს. ინგუშები მხარს უჭერენ ამიერ-კავკასიის სეიმს. დამსჯელი რაზმის შესახებ ცნობამ დიდი ძრწოლა გამოიწვია თფილისში. ჩრდილოეთიდან მოდიან ბოლშევიკები, სამხრეთიდან—თათრები, ყოველივე ეს მეტათ მძიმეთ ხდის სეიმის მდგომარეობას.

ამ რაზმებს უფრო შეგვიძლია ვუწოდოთ „დამპყრობი“, ვინაიდან დღემდის „საბჭოთა მთავრობა“ ამიერ-კავკასიაში ბაქოს გარდა არ ყოფილა და არ არის და ბოლშევიკებს მოუხდებათ პირველათ „დაიპყრონ“ ამიერ-კავკასია.

რა მოტივებით ხელმძღვანელობს სახალხო კომისართა საბჭო? შეუძლია თუ არა მას მოუნახოს რაიმე გასამართლებელი საბუთი თავის მოქმედებას სოციალიზმისა და მათ მიერ აღიარებულ ერთა თვითგამორკვევის უფლების თვალსაზრისით?

რაზე ამყარებს თავის უფლებას დასთმოს ბრესტის ხელშეკრულობის თანახმათ ამიერ-კავკასიის ოლქები არამცთუ ამ ოლქების მცხოვრებთა ნება დაუკითხველათ, არამედ—ისე, რომ ეს ოლქები არც კი სცნობენ ფაქტიურათ მის ძალა უფლებას.

დღემდის ბოლშევიკები ამართლებდნენ თავის ექსპედიციებს რუსეთის სხვადასხვა ნაწილებში იმით, რომ ისინი მხარს უჭერდენ ადგილობრივ „საბჭოთა მთავრობას“ ბურჟუაზიისა და შემთანხმებლების წინააღმდეგ. რა მოსაზრებით ამართლებენ ისინი თავის მოქმედებას ამ შემთხვევაში?

ჩვენ არ გვინდა ვიფიქროთ, რომ ის ხალხი, რომელიც „კომუნისტებს“ უწოდებენ თავს, იკისრებენ ბერლინიდან მიღებულ ბრძანების თანახმათ მომქმედ უბრალო ჯალათების როლს. მაგრამ ნუ თუ მათ არ ესმით, რომ მას შემდეგ, რაც ბრესტში მათ გასცეს ამიერ-კავკასია და თვითონ სამოწყალოთ დანებდენ მოწინააღმდეგეებს და მაშინ, როცა ამიერ კავკასიის ხალხები მთელი ძალ ღონით ცდილობენ გაუმკლავდენ გამძვინვარებულ მტერს—იქ ბოლშევიკური რაზმების შესვლა არის ნამდვილი მახვილის ვერაგულათ ჩაცემა ზურგში?

გავიმეორებთ რა ცნობილ პასუხს, შეიძლება ითქვას, რომ ეს მეტია, ვინემ დანაშაულობა,—ეს შეცდომაა.

ამ შეცდომას არასოდეს არ გამართლებს არც ისტორია, არც თანამედროვე დემოკრატია. და უწინარეს ყოვლისა ზიზღს გამოუცხადებს მათ საერთაშორისო პროლეტარიატი, რომელსაც ბოლშევიკები ასე ხშირათ მიმართავენ“.

საქართველო და ოსმალეთი

(საზავო ხელშეკრულობა).

ოტომანის საიმპერატორო მთავრობა ერთის მხრით და საქართველოს რესპუბლიკა მეორეს მხრით, რომელმაც თავი დამოუკიდებლათ აღიარა, ურთიერთ შორის შეთანხმდენ რა ჩამოაგდონ მეგობრული და კეთილ-მეზობლური დამოკიდებულება ამ ორ ქვეყანათა შორის იურიდიულ, ეკონომიურ და ინტელექტუალურ სფეროში დანიშნეს რწმუნებულებათ შემდეგი პირები:

ოტომანის იმპერიამ (ჩამოთვლილია სახელი და გვარები).

საქართველოს რესპუბლიკამ (სახელი და გვარები).

ეს პირები გაეცნენ რა ორივ მხარეთა რწმუნებას, სცნეს რა ისინი კანონიერად, შეთანხმდენ შემდეგ დებულებებში:

მუხ. 1. ოტომანის საიმპერატორო მთავრობისა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის შორის მყარდება მტკიცე ზავი და მუდმივი მეგობრობა.

მუხ. 2. მოსაზღვრე ხაზი, რომელსაც ქვემო მოყვანილი მიმართულება ექნება, ჰყოფს ოტომანის სახელმწიფოსაგან საქართველოს რესპუბლიკას, სომხეთის და ადერბეიჯანის რესპუბლიკებს.

საზღვარი იწყება იმ ალაგას, სადაც მდინარე ჩოლოქი ერთვის შავ ზღვას და უერთდება 1877 წლის ძველ საზღვარს ოტომანის იმპერიისა და რუსეთს შორის არსებულს შავნაბადის მთამდე და გაივლის რა მაღლობს, აღწევს ხალხამას და მეფისწყაროს მთების 1856 წლის საზღვარზე; შემდეგ ის მოუხვევს სამხრეთით, გაივლის პირსაგატის მთის მაღლობზე და ორი კილომეტრის მანძილით აბასთუმანის სამხრეთიდან, მოუხვევს ჩრდილო აღმოსავლეთით და აღწევს კარხულის მთის მაღლობამდე. აქედან ჯერ ჩრდილო-აღმოსავლეთით 5 კილომეტრის მოშორებით და შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთით ის აღწევს კურკელის მიდამოებს, გადივლის აწყურიდან 2 კილომეტრის მანძილის მოშორებით და გაივლის რა კაიაბაშის, ორთათავის, კარაკაის მთების მწვერვალებით, აღწევს ტაბაწყურის ტბას მოლითის მონასტრის სამხრეთით; საზღვარი გაივლის ამ ტბაზე ისე, რომ მოლითის მონასტრის სამხრეთით მდებარე ამ ტბის ნაწილი რჩება ოტომანის იმპერიას, შემდეგ ეს ხაზი აღწევს ტავკატელის მთამდე, ეშვება სამხრეთით და გაივლის დევეკირენის მთის მწვერვალზე.

საზღვრის საბოლოოთ დაწესება მოხდება ადგილობრივათ ორივე მხრით არჩეული კომისიის მიერ.

მუხ. 3. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას და სომხეთის და ადერბეიჯანის რესპუბლიკათა შორის დადებული ხელშეკრულობის ოქმები საზღვრების შესახებ ეცნობება ოტომანის საიმპერატორო მთავრობას და ეს ოქმები შეადგენენ ამ ხელშეკრულობის ნაწილს.

მუხ. 4. ორივე მხარე პირობას სდებს ენერგიულ წინააღმდეგობას გაუწევენ თავიანთ ტერიტორიებზე „ბანდების“ შეიარაღებას და აგრეთვე იარაღს აყრიან და გარეკავენ ამ „ბანდებს“.

მუხ. 5. საქართველოს რესპუბლიკა დააბრუნებს რუსეთის ნავთსადგურებში რუსის იმ სამხედრო გემებს, რომელიც მის განკარგულებაშია, რომ ამ გემებს იქ იარაღი აეყაროს საერთო ზავის შეკვრამდე. ასევე მოექცევა ის იმ ხომალდებს, რომლებიც აღნიშნულ ნავთსადგურებში იმყოფებიან, აგრეთვე იმათაც, რომლებიც მომავალში მისი საკუთრება იქნება. ოსმალეთის სახელმწიფოს და მისი მოკავშირე მოქიშპე სახელმწიფოს გემები იმდენათ ემორჩილება ზემო მოყვანილ წესებს, რამდენათაც ეს გემები საქართველოს სუვერენიტეტის ფარგალში და მის განკარგულებაში იმყოფება.

მუხ. 6. საქართველოში მცხოვრებ მუსულმანთა სარწმუნოება და ზნე-ჩვეულება პატივცემული იქნება. მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის სულთანის სახელი მოხსენებული იქნება მუსულმანთა საზოგადო სამლოცველოებში. მუსულმანები ისარგებლებენ იმავე სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით, როგორც სხვა რელიგიის მაღიარებელი მოქალაქენი. მათ შეუძლიათ თავიანთ სამშობლო ენაზე სწავლა და რელიგიის შესწავლა. რელიგიის, კულტის და ქველმოქმედების უზრუნველსაყოფად შეიძლება მუსულმ. თემების შექმნა როგორც იურიდიული დაწესებულებებისა, მათ უფლება ექნებათ გახსნან მეჩეთები, ჰოსპიტლები, სკოლები, სარწმუნოებრივი და საქველმოქმედო დაწესებულებები, შეუძლიათ უძრავისა და მოძრავი ქონების შეძენა, რომელთა გამგებლობა დაკისრებული ექნება საგანგებო მმართველთ.

მუხ. 7. ვინაიდან არ მოიპოვება არავითარი ხელშეკრულობა, კონვენცია, შეთანხმება და სხ. საერთაშორისო დოკუმენტი ოტომანის მთავრობისა და საქართველოს რესპუბლიკის შორის, ორივე მხარე ურთი ერთ შეთანხმდენ შეკრან საკონსულო კონვენცია, კომერციული ხელშეკრულობა და სხვა აქტები, რომელსაც ისინი საჭიროთ და აუცილებლათ დაინახავენ იურიდიულ დამოკიდებულებათა მოსაწესრიგებლათ. საკონსულო კონვენცია შეკრული იქნება ორი წლის ვადით დღიდან ამ ხელშეკრულობის რატიფიკაციისა.

ამ გარდამავალ ხანაში გენერალური კონსულები და ვიცე-კონსულები ხელმძღვანელობენ საერთაშორისო უფლებით ურთი-ერთ შორის შეთანხმების საფუძველზე.

სავაჭრო ხელშეკრულობის შესახებ მოლაპარაკება საერთაშორისო უფლების საფუძველზე დაიწყება საერთო ზავის შეკვრისთანავე ერთის მხრით ოსმალეთსა და მეორეს მხრით მეომარ სახელმწიფოთა შორის. ამ დრომდე და, ყოველ შემთხვევაში, 1919 წლის 31 დეკემბრამდე ამ ხელშეკრულობასთან დამატებული დებულება გამოყენებულ იქნება ორივე მხრის მიერ; ის შეიძლება შეიცვალოს 1919 წლის 30 ივლისიდან და მოქმედებაში შევა ექვსი თვის შემდეგ.

ხმელეთით დამოკიდებულების აღდგენა მოხდება ამ ხელშეკრულობის რატიფიკაციის შემდეგ.

მუხლი 8. ორივე მხარე ვალდებულია ხელი შეუწყოს ერთმანეთს სარკინისგზო ტრანსპორტის საკითხში, დააწესონ და გაატარონ შემოკლებული ტარიფი. კერძოთ, იმ მასალებისათვის, რომელიც საჭიროა რკინის გზის გასაყვანათ, საექსპლოატაციოთ და შესანახად, დაწესებული უნდა იქნას სპეციალურად შემოკლებული ტარიფი. რკინის გზის მოძრავი შემადგენლობის გაცვლა-გამოცვლა უნდა მოხდეს ამ საგნის შესახებ არსებულ საერთაშორისო პრინციპების თანახმად.

ორივე მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გამართონ მოლაპარაკება ზემოთ-აღნიშნულ დებულებათა დეტალიზაციის შესახებ. მთელი მოძრავი შემადგენლობა ამიერ კავკასიის რკინის გზებისა გაყოფილ უნდა იქნას პროპორციონალურათ ოთხ შეთანხმებულ სახელმწიფოთა შორის (ოსმალეთი, საქართველო, სომხეთი და ადერბეიჯანი) იმისდა მიხედვით, თუ სად, რომელ ტერიტორიაზე არის გაყვანილი რკინის გზა.

მუხლი 9. სანამდის საქართველო შევიდოდეს საერთაშორისო ფოსტა-ტელეგრაფის კავშირში, ფოსტა-ტელეგრაფის დამოკიდებულობა საქართველოს რესპუბლიკის და ოტომანის სახელმწიფოს შორის აღდგენილ იქნება ამ საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციის შემდეგ, თანახმად საერთაშორისო ფოსტა-ტელეგრაფის კავშირის საკონვენციო დებულების, შეთანხმების და რეგლამენტებისა.

მუხლი 10. თუ რომელიმე მხარის ტერიტორიაზე მცხოვრნებთ, ანუ თემებს აქვთ საზღვრის გარეშე მდებარე საკუთარი უძრავი ქონება მათ შეუძლიათ თავისუფლად ისარგებლონ, იჯარით გასცენ და ექსპლოატაცია უყონ ამ ქონებას, უფლება აქვთ გაყიდონ ან თვითონ, ანუ რწმუნებულის საშუალებით.

არავის არ წაერთმევა საკუთრების უფლება ხსენებულ უძრავ ქონებაზე, შეიძლება ასეთი მოხდეს მხოლოდ საზოგადო საჭიროების მიხედვით და ისიც შესაფერი ღირებულების მიცემით. არავითარი დაბრკოლებები არ უნდა შეხვდეს ასეთ თემების წარმომადგენლებს საზღვარზე ვადასვლის დროს, თუ ისინი წარმოადგენენ სამგზავრო ფურცლებს, რომლებსაც მიიღებენ თავიანთ მთავრობისაგან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და რომლებსაც შეამოწმებს მოსაზღვრე სახელმწიფოს მთავრობა.

სპეციალურად შეღავათი მიეცემათ საზღვრის გადასასვლელად და საზღვრების ახლომახლო მდებარე ადგილებში ვაჭრობის წარმოებაში.

დაწვრილებითი განმარტება ზემორე დასახელებულ დებულებებისა მოთავსებულ იქნება ამ ხელშეკრულების მეორე დამატებაში.

მუხლი 11. ის საერთო და დამატებითი დებულებები ბრესტ ლიტოვსკის ხელშეკრულებისა ოტომანის და მის მოკავშირეთა შორის დადებული სავალდებულოა ამ ორივე (საქართველოს და ოსმალეთისათვის) მხარესთვის იმდენათ, რამდენათ ის არ ეწინააღმდეგება ამ ხელშეკრულებას.

მუხლი 12. ყველა ის ტერიტორიები, რომლებიც უკავია ჯარებს და რომლებიც ამ ხელშეკრულების მიხედვით უნდა გადავიდეს ამა თუ იმ მხარეს ხელში, ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის შემდეგ განთავისუფლებულ უნდა იქნას მოწინააღმდეგის ჯარებისაგან:

მუხლი 13. ამ ხელშეკრულობის დ მის რატიფიკაციათა გაცვლა უნდა მოხდეს სტამბოლში ერთი თვის განმავლობაში, ანუ უფრო ადრე. ძალაში შედის მხოლოდ ამ გაცვლის შემდეგ.

ამის დასამტკიცებლათ რწმუნებულებმა მოაწერეს საზავო ხელშეკრულებას ხელი და დაამოწმეს თავიანთი ბეჭდების დასმით.

გუშინდელ ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა საქართველოს და ოსმალეთის შეთანხმება რკინის გზებით სარგებლობის შესახებ. ამ შეთანხმების დაუბეჭდავი დარჩა მხოლოდ ერთი მუხლი, სახელდობრ მე-4, რომელიც შემდეგს შეიცავს: „ოტომანის მთავრობას უფლება აქვს მიანიჭოს თავის მოკავშირეთა ჯარებს ისეთივე უფლებები, რკინის გზით სარგებლობისა, რაიც მას აქვს მესამე (ე. ი. გუშინ დაბეჭდილი) მუხლის ძალით.

დეპეშები

(ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტო).

8 ივნისი.

ბერლინი. დასავლეთის ფრონტი. კრონპრინც რუპრეხტის არმია. საარტილერიო მოქმედება ფრონტზე ხანდისხან ძლიერდებოდა. მზვერავი რაზმების გაცხოველებული მოქმედება იყო. კემელის დასავლეთით ერთ-ერთ შეტაკების დროს ჩვენ წამოვიყვანეთ ტყვეთ ფრანგების 2 ოფიცერი და 50 ჯარისკაცი.

გერმანიის კრონპრინცის არმია. ბრძოლის ფრონტზე ოპერაციული მოქმედებები განისაზღვრებოდენ ადგილობრივი ბრძოლის დაწყებით. მდ. ესნეს ჩრდილოეთით და შატო-ტიერის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენ მოვიგერიეთ მოწინააღმდეგეს ნაწილობრივი იერიშები. სარსის სამხრეთ აღმოსავლეთით საარტილერიო შეტაკების შემდეგ ჩვენ ხელთ ვიგდეთ მოწინააღმდეგის ხაზი არდრის ორივე მხარეზე. წამოვიყვანეთ 300 ტყვე.

ვენა. სამხრეთ დასავლეთის მიმართულებით ჩვენს არტილერიის მოქმედებას გუშინ შეუერთდა ქვეითა ჯარის გაცხოველებული მოქმედება. დაბალ პიავაზე, კურო, მორი და ტიროლთან იტალიელების მზვერავი ნაწილები უკუ ვაქციეთ. სპენ აკზიას მთაზე ჩვენი მდგომარეობა გაუმჯობესებულია. სიზემოლის მთაზე ჩვენ კონტრ-იერიშით მოვიგერიეთ მოწინააღმდეგის ერთი ბატალიონი. აზიაგოსთან ორ მოწინააღმდეგის იერიშებს არ მიუღწევია მიზნისათვის ჩვენი ცეცხლის ენერგიული მოქმედების გამო.

სტამბოლი. პალესტინის ფრონტი. მდ. იორდანე და ზღვის ნაპირებზე ჩვენი არტილერია ენერგიულათ ესროდა იმ ადგილებს, სადაც დაბანაკებული იყო მტრის განსაკუთრებული ჯარი. იორდანის აღმოსავლეთით მტრის მზვერავი რაზმის მოქმედება ადვილათ მოგერიებულ იქნა. ჩამოვაგდეთ მოწინააღმდეგის ერთი ჰაეროპლანი.

გერმანიის ტრანს-ოკეანეს „პრესს-ბიუროს“ ცნობა, მიღებული ნემცების რადიოსადგურიდან ინგლისურ ენაზე. გერმანელების წყალქვეშა ნავმა კაპიტან გერნერის ხელმძღვანელობით ინგლისის არხის დასავლეთ ნაწილში და ინგლისის დასავლეთ ნაპირებზე გაანადგურა ხუთი მოწინააღმდეგის გემი, რომლების წყალწყვა უდრიდა 29,000 ტონს. (ტრანს-ოკეანეს რადიო დეპეშები).

ინგლის საფრანგეთის ცნობებში მუდამ ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ ბოლშევიკების ღალატი სამთა კავშირის მიმართ, არის მიზეზი მოკავშირეთა დასავლეთის ფრონტზე დამარცხებისა. ეს დაუმსახურებელი საყვედური არის მადლობის მაგიერი იმ მსხვერპლის და ქონების განადგურებისა, რომელიც რუსეთმა გაიღო სამთა კავშირის სასარგებლოდ. რუსეთს არ ჰქონდა სხვა გამოსავალი გზა, თუ არა ზავის ჩამოგდება, რადგანაც მასზე ცენტრალურმა სახელმწიფოებმა გაიმარჯვეს.

მთავრობის სხდომა

7 ივნისს მთავრობის სხდომაზე ფინანსთა მინისტრის მოხსენებით საქართველოს სახელმწიფო ღერბის შემუშავების საჭიროების შესახებ, დაადგინეს: ღერბი შემუშავდეს საქართველოს სახელმწიფოს ისტორიულ ნაშთების მიხედვით. ღერბის შემუშავება დაევალოს ცნობილ ქართველ მსწავლულებს და ისტორიკოსებს.

საჭიროდ იქნა აღიარებული ქართული ქაღალდის ფულის სახის შემუშავება. ამისთვის უნდა დაინიშნოს კონკურსი 1000 მ. ჯილდოთ. ჯერ უნდა შემუშავდეს 100 მანეთიანის სახე. დანარჩენ ღირებულებას ფულის სახის შემუშავება იმ მხატვარს დაეკისრება, რომელიც ჯილდოს მიიღებს.

ქაღალდის ფულები 10×15 სანტიმეტრის სიფართე უნდა იყოს. კონკურსის ვადა 2 კვირითაა განსაზღვრული. წარწერას ქაღალდის ფულისათვის მთავრობა წინასწარ შეიმუშავებს. ჟიურის შემადგენლობაში შედიან: ცნობილი მხატვრები, მგოსნები, მუსიკოსები, მსწავლულები და მთავრობის წარმომადგენლები.

შემდეგ დაადგინეს ეროვნულ ბანკის დაარსებამდე სახელმწიფო ბანკთან გამოჰყონ ცალკე ქართული განყოფილება.

ფინანსთა მინისტრის მოხსენებით, ჭიათურის ქვა-ნახშირის მრეწველობის გაფართოვების შესახებ, დაადგინეს ამ მიზნის განსახორციელებლად გადადებულ იქნას 500,000 მან.

ფინანსთა მინისტრს დაევალა ეროვნულ საბჭოში შეიტანოს კანონ-პროექტი შავი ქვის საზღვარ გარეთ გასასყიდათ ყიდვა-გაყიდვის აღკრძალვის შესახებ.

ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრს დაევალა შეადგინოს საგანგებო კომისია, რომლის დაუკითხავადაც საქართველოს რესპუბლიკის ყოველგვარ ნედლი მასალის ყიდვა-გაყიდვა აკრძალული იქნება.

დეპეშები

ფოთი. განახლებულ საქართველოს ვულოცავთ დემოკრატიულ რესპუბლიკას. ვინც ხორცი შეასხა ჩვენს სამშობლოს, მას ძლევამოსილებითაც შემოსავს ის. ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის მოსამსახურეთა საზოგადო კრება გამოთქვამს სურვილს ერთგულათ ემსახუროს მას.

თავმჯდომარე შოთაძე, მდივანი კასრაძე.

ჭიათურა. ჭიათურის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოსამსახურეთა კრება დიდის აღტაცებით შეეგება საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკათ გამოცხადებას, მისალმება ამ ისტორიულ აქტს, რომელიც საშვალებას მისცემს მრავალ ტანჯულ საქართველოს კულტურულ ეკონომიური აღორძინების გზაზე დადგეს. კრება ფიცს დებს ყოველივე ზომებს მიიღოს რესპუბლიკის განსამტკიცებლად.

თავმჯდომარე კაკაბაძე, მდივანი აბაშიძე.

ახალი ამბები

ორშაბათს, 10 ივნისს შუადღის 1 საათზე საოლქო კომიტეტის ბინაზე (გოლოვინის პრ. № 12) მოხდება კრება საოლქო კომიტეტის და საკონტროლო კომისიის წევრებისა. წევრებს ვსთხოვთ უეჭველათ დაესწრონ.

◆ **ჯავახეთის განადგურება.** ბორჯომის რაიონის კომისარი ჟორდანია ეროვნულ საბჭოს, შინაგან საქმეთა მინისტრს და გუბერნიის კომისარს ბაკურიანიდან 8 ივნისის თარიღით ატყობინებს: მაჰმადიანთა ურდოებმა მთელი მაზრა (ახალციხის) ცეცხლსა და მახვილს მისცეს. თითქმის ყველა სოფლები იწვის. ვინც ვერ მოასწრო გადმოხიზვნა, მაჰმადიანები ხოცავენ. ზოგი სოფლები ალყა-შემორტყმულია და არ ვიცით, რა მდგომარეობაში არიან. ბაკურიანის მიდამოები, ცხრაწყაროს ჩრდილოეთით სავსეა ლტოლვილებით. გარდა ჯავახეთიდან გადმოხვეწილთა აქ არიან ლტოლვილები არტაანიდან, ყარსიდან, ალექსანდრეპოლიდან და სხვა ადგილებიდან, რომელთაც დღემდე თავი შეფარებული ჰქონდათ ახალქალაქის მაზრაში. ლტოლვილები ბაკურიანის ტყეებში იმყოფებიან, არ აქვთ სარჩო-საბადებელი, ბინა და საექიმო დახმარება. მრავალი იხოცება. ჩვენ ვცადეთ თეთრი დროშებით მოლაპარაკება გაგვემართა მაჰმადიანთა წარმომადგენლებთან, მარა არავითარ წინადადებას არ ღებულობენ და მთელი მაზრა ცეცხლის ალშია გახვეული. საჭიროა გავლენიანი მაჰმადიანების გამოგზავნა, რომ მოელაპარაკონ ბრბოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მთელ ხალხს წალეკვა და სრული განადგურება უქადის.

◆ **მიწათ მოქმედების სამინისტრომ** გადასწყვიტა ყველა ადგილობრივ დაწესებულებებში გატარებულ იქნას ნაციონალიზაცია. რუსული ენა დროებით დარჩება ცენტრალურ ორგანოებში.

— მიწათ-მოქმედების სამინისტრომ განმარტა, რომ მიწების კონფისკაცია არ ვრცელდება იმ მიწებზე, რომლებიც ჩამორთმეულია საზოგადო ანუ სახელმწიფო საჭიროებისათვის, კერძოთ რკინის გზის საჭიროებისათვის, რკინის გზას მიწები არ უნდა ჩამოერთვას. რკინის გზას შეუძლია, თანახმად რკინის გზის კანონებისა, ეს მიწები მისცეს რკინის გზის მოსამსახურეებს, რომ მათ ისარგებლონ მით.

◆ **ოსმალეთის მთავრობამ** აცნობა სომხების საზავო დელეგაციას, რომ ის მიიღებს სასწრაფო ზომებს ჯულფამდე რკინის გზის მიმოსვლის აღდგენის შესახებ, რომ ლტოლვილებს საშვალება მიეცეთ დაბრუნდენ თავიანთ ადგილებში. გუშინ წავიდა პირველი მატარებელი ალექსანდროპოლში.

◆ **საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ** ბერლინიდან 4 ივნისის თარიღით 7 ივნისს გენ. ფონ-ლოსსოვისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო: „გერმანიის მთავარ სარდლობა და მთავრობა ეთანხმება ყველა თქვენ მიერ გადადგმულ ნაბიჯებს. სადგურებზე და ნავთსადგურებში ოსმალების მოახლოვებისას სადარაჯოები თავის ადგილზე უნდა დარჩენ, მტრულათ არ უნდა მოექცენ ოსმალებს და უნდა განუცხადონ მათ, რომ ისინი გერმანიის მთავარ სარდლობის ბრძანებით არიან დაყენებულნი საქართველოს რკინის გზების დასაცავათ, ოთხთა კავშირის სახელმწიფოთა საერთო ინტერესების თანახმათ.

◆ **სომხეთის რესპუბლიკის მთავრობ** შედგენა, კერძო ცნობების მიხედვით, დაევალა ოვ. კაჩაზნუნს. სომხეთა სახალხო თავისუფლების პარტიის წარმომადგენლები მთავრობაში არ შედიან.

◆ **სწავლა განათლების თათბირმა** საშუალო სასწავლებლების რეორგანიზაციის შესახებ დაადგინა: სრული ნაციონალიზაცია მოახდინოს საშუალო სასწავლებლებისა. დატოვებული იქნება რუსული, სომხური და სხვა ეროვნული გიმნაზიები, რომლებსაც მთავრობა თავის ხარჯზე შეინახავს.

◆ 8 ივნისს შესდგა საქართველოს ეროვნულ საბჭოს სამხედრო კომისიის სხდომა. თავმჯდომარედ აირჩიეს ე. გეგეჭკორი მის ამხანაგებათ: ილ. გობეჩია (ს.-რ.) და კ. აბხაზი (უპარტიო)

◆ **მილიციის უფროსმა დააპატიმრა:** სამი თვით ფარულად ღვინის გაყიდვისათვის და უზნეო ქალების შენახვისათვის სარძევეში—ალექსი პეტრიაშვილი და ივანე მირზოევი; ფარულად ღვინის გაყიდვისთვის—იაგორ ფიროუზაშვილი (1 თვით), დარჩო არუთინოვი (2 თვით) და სავადილო დაუკეტეს; ტრიფონ იაშვილი და ივანე ლუნიაშვილი (1 თვით) ბაზარში „ტუზების“ თამაშობისთვის—კონს. ზანაშვილი (2 თვით), სამსონ ხაჩატურიანცი და ლევონ არუშიანცი (2 თვით).

◆ **ბათუმიდან** გუშინ ჩამოვიდნენ იქ დარჩენილი რუსი მოხელეები. ჯერ-ჯერობით ჩამოვიდენ 600 კაცი.

◆ **სამტრედიის ქალთა ორგანიზაციამ** სამხედრო სამინისტროს გამოუგზავნა 5417 მან. 90 კაპ. სამხედრო საჭიროებისათვის.

◆ **სახალხო თეატრი.** ორშაბათს, 10 ივნისს, სახ. სახლთან არს. ქართულ წარმ. მმართველ წრის მიერ წარმოდგენილი იქნება ამ სეზონში უკანასკნელი წარმოდგენა: „მაღაროს უფროსი მუშა“ და „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“. დასაწყისი საღ. 8 საათზე. ადგილების ფასი სახალხოა.

კრებები და მიტინგები.

დღეს, 9 ივნისს, დილის 10 საათზე, სახელოსნო კლუბის დარბაზში, მიხეილის ქუჩაზე № 65. შესდგება საერთო კრება პროფესიონალური კავშირის წევრების „პროლეტარსკაია იგლა“-სი.

— დღეს, დილის 10 საათზე თეატრ „ნაძალადევის“ შენობაში იწვევს რაიონული კომიტეტი „ნაძალადევის“ მოქალაქეთ მეთერთმეტე უბნისას საერთო კრებაზე.

— დღეს, საღამოს 7 საათზე სახალხო სახლში შესდგება მუშათა და ჯარის-კაცთა დეპუტატების საბჭოს სხდომა.

— დილის 11 საათზე ანანოვის ქალთა სკოლის შენობაში შესდგება სოციალ-დემოკრატ (მენშევიკების) სომხების კრება. სავალდებულოა ყველა ამხანაგის დასწრება.

— დღეს დანიშნულია ქართველ ქალთა საზოგადოების მეხუთე უბნის განყოფილების წლიური კრება. კრება საღამოს 5 საათზე დაიწყება. (სუპ-სარქისის ქუჩა № 48 განათლების სასწავლებელში).

— დღეს 5 საათზედ 4 რაიონის კლუბში (უდელის ქუჩა № 3) დანიშნულია საზოგადო კრება 4 რაიონის ს. დ. მ. პ.

— ხვალ, 10 ივნისს 7 საათზე დანიშნულია მორიგი სხდომა 2 საამილიციო მცირე კოლექტივსა მელიქოვის მაღაზიაში, ლორის მელიქოვის ქუჩა.

— დღეს 11 საათზე დანიშნულია სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის კრება ქალაქის თვითმართველობის ხმოსნების.

პროვინციის ქრონიკა

ლეჩხუმიდან ქუთაისში ჩამოვიდა მაზრის კომისარი ე. ლატარია, მას ჩამოყვა რამდენიმე პირი, რომელთაც გუბერნიის კომისართან ქონდათ მოლაპარაკება ლეჩხუმის მდგომარეობის შესახებ. გუბერნიის კომისარმა აღუთქვა ლეჩხუმს ყოველგვარი დახმარება და დაჰპირდა, რომ მოკლე ხანში თითონ ესტუმრება ლეჩხუმს და ადგილობრივ გაეცნობა საქმის მდგომარეობას. („ს. დ.“).

ქ. სიღნაღი როგორც სიღნაღის სამაზრო კომისარი გელაშვილი იტყობინება, მაზრაში ისევ დაწყებულა აქტიური გამოსვლები ნაძირალთა ბრბოებისა. **ზემო მაჩხაანში** ბრბოს არ გამოუშვია თფილისში წითელ გვარდიელთა რაზმი: „თქვენ ბოლშევიკებთან მიდიხართ საბრძოლველად, თუ თქვენ აქედან წახვალთ, თქვენც დაგხოცამთ და თქვენ ცოლშვილს სულ ავაწიოკებთო“.

სოფ. **ბოდბეში** ბრბოს ჩამოუგდია სოფლის კომისარი. მის ალაგას დაუყენებიათ ერთი მობოლშევიკე ჯარიკაცად ნამყოფი, ამ უკანასკნელს თანამდებობის ალებისთანავე შეუდგენია შეიარაღებული ბრბო და ორ ალაგას უკვე მოუხდენია დაცემა ძარცვა-გლეჯის მიზნით.

სოფ. კაკაბეთში. ადგილობრივი ბრბო ოთხი კაცის ხელმძღვანელობით დასცემიან ოჯახს, ორი იმ წითელ გვარდიელისას, რომლებიც ამ ჟამად იმყოფებიან პოზიციაზე მდგომ სიღნაღის რაზმში. ამნაირად ხულიგნებს და ნაძირალებს ფრთები შეუსხამთ და უსარგებლიათ იმით, რომ მათი ამღაგმავი წითელ გვარდიელთა ადგილობრივი რაზმი ამ ჟამათ იმყოფება პოზიციაზე და მაზრას გამოშორებულია. კომისარი გელაშვილი საჩქაროთ სთხოვს უმთავრეს შტაბს წითელ გვარდიელებისას თფილისში, რათა სიღნაღის რაზმი დაბრუნებულ იქნეს უკანვე სიღნაღში ყოველივე ასეთი კონტრ-რევოლიუციონური გამოსვლების დაუყონებლივ ჩასაქრობად და ყველგან წესიერების აღსადგენად.

გორის მაზრის ცენტრ. კომიტეტმა ს.-დ. მ. პ. მოწოდებით მიმართა ხალხს, რომ გაითვალისწინონ მომენტი და იარაღით ხელში დაიცვან სამშობლოს საზღვრები. მოქალაქენი სრული შეგნებით შეხვდენ დიდ ისტორიულ მომენტს და ხალისით ეგებებიან ყველა რევოლიუციონურ ორგანიზაციების დადგენილებებს.

— 1 ივნისს, ქალაქის საბჭოს სხდომა იყო, რომელზედაც გამგეობის ახალ წევრებათ აირჩიეს შემდეგი პირები: ა. ჩუტკერაშვილი, პ. ჯაფარიძე, ა. ტერსტეფანოვი და ა. მიხაილოვი.

— ამ რამდენიმე დღის წინათ ოცი კაცისგან შემდგარმა ჯგუფმა აიღო დასამუშავებლად ქალაქის მიწები სიგრძით 70 დესეტინამდე.

— ქ. გორში და მაზრაში გამოცხადებულია საალყო წესები. გამოიცა შესაფერისი დადგენილებანი მთელს მაზრაში. ხდება ძალთა მობილიზაცია. რევოლიუციონურ ტრიბუნალს სამხედრო საველე სასამართლოს უფლებები მიენიჭა.

— ამ დღეებში დაასაფლავეს გორში აწყურის ფრონტზე გმირულათ დაცემულ ამხანაგ წითელგვარდიელები: ხაშიშვილი და მამულაშვილი და პორუჩიკი ა. რობაქიძე.

— ჩამოვიდენ ამხ. მ. კლიმიაშვილი და ვ. ცაბაძე, რომელთა მოვალეობაა მუშაობა გასწიონ მთელს გორის მაზრაში.

— გორის მაზრის წითელგვარდიელთა შტაბმა გამოსცა მოწოდებები ამხ. წითელგვარდიელებისადმი.

რა ხდება თერგის ოლქში

თერგის ოლქში თავსამტვრევ საკითხათ თავიდანვე მიწის საკითხი იყო. ძველი მთავრობის პოლიტიკა იქითკენ იყო მიმართული, რომ ადგილობრივ მკვიდრთა მიწებზე კაზაკები დაესახლებია და მით ლაგამი აედვა ადგილობრივ მკვიდრ ჩეჩენ-ინგუშებისათვის. ამგვარათ კაზაკების ხელში გადავიდა თითქმის ოთხი მეხუთედი მთელი თერგის ოლქის სავარგისი მიწებისა. რევოლიუციამდის უკმაყოფილო მკვიდრნი შიშით ვერაფერს ბედავდენ. მაგრამ რევოლიუციის შემდეგ მათ წამოაყენეს ეს საკითხი, რამაც ერთიანათ გააჩაღა ერთა შორის შური და მტრობა. როცა კარაულოვი პირველათ ჩამოვიდა თერგში როგორც დროებით მთავრობის წარმომადგენელი, თავიდანვე შეუდგა თადარიგს, რათა კაზაკების ინტერესები მაღლა დაეყენებია სხვებისაზე. მან რევოლიუციის წითელი დროშის მაგიერ თერგში აღმართა მწვანე დროშა კაზაკებისა და მით ნიადაგი ჩაეყარა მცხოვრებთა ნაციონალურ ჯგუფებათ დარაზმვას. შემდეგ კარაულოვმა ცოტაოდენი დათმობა მოისურვა: შეპირდა ჩეჩენ ინგუშებს, რომ ის შეეცდება 7—8 სტანიცა გადაასახლოს მდ. სუნჟის იქითა მხარეს, მაგრამ ეს დათმობა კარაულოვს ძვირათ დაუჯდა, ის ამ განზრახვისათვის კაზაკებმა მოჰკლეს. ის მოჰკლეს ვითომც კონტრ-რევოლიუციონერობისათვის, ბოლშევიკების ფირმით, მარა ნამდვილათ კი მოჰკლა კონტრ-რევოლიუციონერმა—კაზაკებმა რადგანაც შესწამეს კაზაკების ინტერესების წინააღმდეგ წასვლა. შემდეგ ამისა აქ შედგა ახალი მთავრობა, რომელშიაც ყველა ადგილობრივი მკვიდრი იღებდა მონაწილეობას, მარა ურთიერთ შორის შუღლის მოსპობა ამან ვერ შესძლო. ყველა ეროვნებათა ჯგუფები ცალ-ცალკე იმას სცდილობდა, რომ რაიმე გარეშე ძალა დაეხმარებია მეორე ეროვნების წინააღმდეგ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მთელი თერგის ოლქი, ეს არსებითათ კონტრ-რევოლიუციონერი ელემენტი ერთ მშვენიერ დღეს ერთავათ გაბოლშევიკდა. კონტრ რევოლიუციონერი კაზაკები გაბოლშევიკდენ იმ აზრით, რომ მათ სახალხო კომისარები დაეხმარებოდენ ინგუშ-ჩეჩენთა წინააღმდეგ. უკანასკნელები კი იმავე მოსაზრებით, უფრო კი იმის შიშით, რათა მათ სახალხო კომისართა რისხვა არ დაემსახურებიათ.

თერგის ოლქში, როგორც ზევით მოვიხსენიე არ არის ელემენტი რევოლიუციონური. ის მცირე მუშა ხელოსნები, რომლებიც კავკავში იმყოფებიან და მართლაც შეიძლება რევოლიუციონური ელემენტი ვუწოდოთ, მენშევიკებს და ესერებს მისდევენ. არსებითათ თერგის ოლქში არც არის ბოლშევიკების მთავრობა. „ბოლშევიკ“ კაზაკებმა პირდაპირ განუცხადეს კომისართა საბჭოს, რომ მათ არ სწამთ არავითარი მიწის დეკრეტი და რომ მათი მიწები ხელშეუხებელი უნდა დარჩესო. ამ განცხადებას სახ. კომისარები უსიტყვოთ დამორჩილდენ. ამ რიგათ ის თავსამტვრევი საკითხი—მიწის საკითხი, ისევ ძველ ადგილას არის და მაშასადამე ისევ არის დარჩენილი ნიადაგი ერთა შორის შუღლისა და მტრობისა.

თერგის ოლქის ჩრდილო ნაწილში დიდი ხანია სწარმოებს ბრძოლა ბოლშევიკებსა და მის მოწინააღმდეგეთა შორის. ამბობენ, რომ ბოლშევიკების წინააღმდეგ კაზაკთა სტანიცები იბრძვიან. არმავირსა და სადგურ მინერალნი ვოდის შუა ბოლშევიკებმა ამ ბოლოს დიდი ზარალი ნახეს და დამარცხებული ჯარი ბოლშევიკებისა ვლადიკავკავისაკენ იხევს. მოსალოდნელია, რომ ეს ჯარი გამოსავალს მონახავს და შესაძლებელია დარიალში მოინდომოს გამოსვლა, რათა თავს დაესხან საქართველოს.

თვით დარიალის რაზმიც რამდენიმეთ შეპყრობილია ბოლშევიკური სულის კვეთებით. უკანასკნელ ბრძოლაში დარიალის რაზმს არავითარი აქტივობა არ გამოუჩენია. პირიქით ზოგიერთებმა პოზიციები მიუტიეს და სამარცხვინოთ უკუ იქცენ, რადგანაც არ სურდათ ბოლშევიკებთან ბრძოლის გაწევა. თუ არ მამაცი ყაზბეგელები შესაძლებელია ბრძოლის შედეგი სრულიათ სხვა ყოფილიყო. ქართველებთან ცუდ-განწყობილებაშია აგრეთვე კოშელი ოსები, რომლებიდან მოსალოდნელია ზურგიდან თავდასხმა, და ხელის შეშლა. საკუთრივ კი კოშელები არავითარ მეომარ ერთეულს არ წარმოადგენენ. თვით ოსთა ნაციონალური საბჭოც ვალდებულია ყურადღებით მოექცეს ამ საკითხს, სამწუხაროთ ჯერ ის ამ საგანზე ყურსაც არ იბერტყს. ამას წინათ ჩვენებს ოსებმა მოსტაცეს 7,000 სული ცხვარი; ცხვარი ამოვაჩინეთ, მაგრამ უკან მიღებას კი ვერ ვეღირსეთ. ოსთა ნაციონალურ საბჭოდანაც ვერ მივიღეთ დამაკმაყოფილებელი პასუხი.

გარდა დარიალის ხეობისა საქართველოში გადმოდის მეორე გზა—სამხედრო ოსეთის გზა, რომელსაც აგრეთვე უნდა მიექცეს ყურადღება.

ფარშავანგი

როცა გათენდა—უცხო იყო ცეცხლის თამაში:
ყოველი სხივი ვით ჭრილობა ცას აჩნდებოდა,
და მე ანთებულ განთიადის შუქ ნასხურ თმაში
ფრთა-მოქარგული ფარშავანგი მელანდებოდა.

მოულოდნელად მოეკიდა ცეცხლი ღამესა,
და მეც თვალები, ალბად, მიტომ ამითამაშდა...
მას შემდეგ გული ეზიარა ბევრ სიამესა,
მაგრამ ნაღველი ლხინზე უფრო მეტი დამაჩნდა.

ახლა, როდესაც იშვა კვნესა სულის წვალებით,
და ნათელ სიმმა გამოაკრთო ხმა შავ ჰანგისა,
ნისკარტ-სისხლიანს ყორანსა ვსჭვრეტ შემკრთალ თვალებით,
ნაცვლად სხივებით ფრთა-მოქარგულ ფარშავანგისა...

ს. აბაშელი.

ქართულ საფილოსოფიო საზოგადოებაში

ჩვენი პოლიტიკური აღორძინების ისტორიულ დღეს, 26 მაისს, ჩვენს დედაქალაქში დაარსდა პირველი ქართული საფილოსოფიო საზოგადოება. დამფუძნებელმა კრებამ, რომელიც მოხდა ქართული უნივერსიტეტის დარბაზში, მას უწოდა „პეტრიწის (ცნობილი XII საუკუნის ქართველი ფილოსოფოსის) სახელობის საფილოსოფიო საზოგადოება“, დაამტკიცა მისი წესდება და აირჩია 46 ნამდვილი წევრი, რომელთა სია დაბეჭდილი იყო „სახალხო საქმის“ მე-234-ე ნომერში. (კორექტორის დაუკვირვებლობის გამო სიაში გამოტოვებულია ორი წევრი: **ივანე და გიორგი ჯავახიშვილები**). დღეს, 9 ივნისს, იმავე დარბაზში, დანიშნულია ამ საზოგადოების მეორე კრება, დილის 11 საათზე. კრების საგანია: 1) ს. გორგაძის მოხსენება: „ფილოსოფიის მთავარი დარგები ქართულ მწერლობაში, XI—XIX საუკუნეში“ (ლოღიკა, მეტაფიზიკა, პსიხოლგია, ეთიკა და ესთეტიკა); 2) არჩევა ახალი წევრებისა; 3) საბჭოსი და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევანი. კრებაზე დასწრება არა წევრთაც შეუძლიათ.

ჩვენი მოუწყობლობა

ბევრს უკვირს: როგორ მოხდა, რომ გერმანია არ დამარცხდა და არ დაიმშა; პირიქით, იგი ჯერ-ჯერობით მაინც გამარჯვებულია, ვერავინ რა დააკლო. იქ სურსათის საქმე არც ისე აწეწილია და სიძვირეც ისე არ მძვინვარებს, როგორც ჩვენში.

ამის მიზეზები მრავალგვარია: საუცხოვო, მაგარი ორგანიზაცია როგორც საზოგადოებრივი ისე სახელმწიფოებრივი, როგორც მუშათა ისე მოქალაქეთა; წარმოება-მრეწველობის და ტეხნიკის უმაღლესად განვითარება, სიძლიერე ეკონომიური და პოლიტიკური და ყველა ამასთან თვით გერმანელი ხალხის სულიერი, ფიზიკური და გონებრივი სიძლიერე.

გერმანიის ხალხი ოცნებებით არაოდეს არ იკვებებოდა, მან არ იცოდა თავდავიწყებამდე გატაცება რაიმე იდეით, როგორც ეს ჩვენ გვჩვევია. ისინი სინამდვილეს უფრო ადვილად სწვდებიან, მას ანგარიშს უწევენ და ისე აწარმოებენ ბრძოლას ცხოვრების მრავალგვარ უკუღმართობასთან.

მსოფლიო ომი რომ დაიწყო, გერმანიის მუშათა კლასი მას პროტესტით შეხვდა და მიტინგებიც იმართებოდა, საცა გამოჰქონდათ შესაფერი დადგენილებები. მაგრამ მათმა ხელმძღვანელებმა კარგად იცოდნენ, რომ ამით ომს თავიდან ვერ აიცილებდნენ და მოსალოდნელი იყო მისი გართულება, რაც გერმანიას ცუდ მდგომარეობაში ჩააყენებდა. ამის შესახებ ახლა ბევრს არაფერს ვიტყვი, შევნიშნავ მხოლოდ, საერთაშორისო მდგომარეობა ისე მოეწყო, რომ სოციალისტებს მეტი გზა აღარ ჰქონდათ: რაკი ომი მათი სურვილის წინააღმდეგ უნდა წარმოებულიყო, ისინი მომხდარ ფაქტის წინაშე იდგნენ და იძულებულნი იყვნენ იარაღი აეღოთ ხელში.

მუშათა ორგანიზაციები და სხვა საზოგადო დაწესებულებები ყოველ ზომებს ღებულობდენ, რაც შეიძლება ნაკლებად საგრძნობელი გაეხადათ ომის მიერ გამოწვეული შედეგები: არ უნდა შეფერხებულიყო წარმოება-მრეწველობა, ფაბრიკა-ზავოდებში მუშაობა, ვაჭრობა და სხ. აგრეთვე დიდი ყურადღება მიექცა ხალხის გამოკვების საქმეს: მარტო ხვალინდელ დღეზე კი არ ფიქრობდენ, არამედ უფრო შორსაც იყურებოდენ—ემზადებოდენ იმ შემთხვევისათვის, თუ ომი წლობით გაგრძელდებოდა.

ალბად ბევრ თქვენგანს ეხსომება, მკითხველო, ყველაფერი ის, რასაც წინად გერმანიის შესახებ სწერდნენ და ამბობდენ: გერმანიას მალე პური შემოაკლდება, არ ექნება საკმაო სანოვაგე და შიმშილი აიძულებს იარაღი დაჰყაროსო. მაგრამ ეს არ გამართლდა. მას სანოვაგე არ შემოჰკლებია და არ დამშეულა. პირიქით, იქ შედარებით სიიაფეც ყოფილა. მაგალითისთვის მოვიყვანოთ ფასებიც: გირვანქა პური ღირდა ამ ორი თვის წინად 10 კაპეიკი, შაქარი 20 კაპ., კართოფილი—7—8 კაპ., ხორცი 1 მან. და 50 კაპ. და სხვა. თითოეულს ეძლევა დღეში ბარათით სამი მეოთხედი გირვანქა პური (მუშებს ერთი ორათ მეტი), ნახევარი კილო კარტოფილი და სხ. პურის მონოპოლია ადრევე მოახდინა მთავრობამ და ცხოვრებაშიაც სასტიკათ იქნა გატარებული: რაც უნდა შეეცადოთ, რაც უნდა ბევრი ფული შეაძლიოთ, პურს საყიდლად ვერ იშოვით. თავისუფლათ იყიდება მხოლოდ ქათამი, ბატი, ინდაური, კურდღელი და თევზეულობა, ისიც შედარებით იაფად. არ შეიძლება ითქვას, რომ ყველაფერი საკმაოდ იყოს, მაგრამ შიმშილობასაც არ განიცდიდა ხალხი და რასაც ღებულობდა, მამასისხლად მაინც არ ღირდა.

ბოლო ხანებში ბარათები ტანისამოს-ფეხსაცმელებზედაც შემოიღეს და იაფიც იყო. ესეც მეტად კარგად იყო მოწესრიგებული და მით აცილებულ იქნა თავიდან ფასების უსაზღვროდ აწევა-გაზრდა. არც ბინების საქმე იყო მივიწყებული: მშვენივრად მოწყობილ ოთახის შოვნა შეიძლებოდა 20—25 მანეთად, ხოლო მთელი პანსიონისა დღეში 3—4 მანეთად.

ამგვარად, გერმანიას არც შიმშილი განუცდია საიმისოდ და არც სიძვირე. ეს კი შედეგი იყო ხალხურ და სახელმწიფოებრივ ორგანიზაციების გონივრულ და თავდადებულ მოქმედებისა. გერმანიის ხალხი გრძნობდა, რომ მეტად მძიმე ხანაში ცხოვრობდა და ამიტომაც ცდას არ აკლებდა თავისი წვლილის შეტანით შეემსუბუქებია შედეგები ომისაგან გამოწვეულ მდგომარეობისა და ამას იგი აღწევდა კიდეც. ომში წასული იქ გმირულად იბრძოდა, სახლში დარჩენილი კი დაუზარებლად შრომობდა, როგორც ფაბრიკა-ზავოდებში, ისე სოფლად ყანებსა და ბოსტნებში.

აქვე მინდა მკითხველის ყურადღება მივაქციო ერთ გარემოებას: გერმანიაში შემოღებულია 8—9 საათის სამუშაო დღე. რაკი ომის გამო მუშა ხელი საკმაო არ იყო, ამიტომ მუშები თითქმის ყველგან ზედმეტ საათებს მუშაობდენ და ამას ისინი სჩადიოდენ შეგნებულად, მოვალეობის შეგნებით და არა მხოლოდ რამდენიმე მარკის მიღებისთვის. ამასთან ისიც აღსანიშნავია, რომ ქალები მამაკაცების ალაგს იჭერდენ ყველგან და მათი მუშაობაც საკმაოთ ნაყოფიერი იყო. უკანასკნელი ცნობით, მარტო ფაბრიკა-ზავოდებში 4 მილიონზე მეტი დედაკაცი მუშაობს. თუ ამას მივუმატებთ სხვადასხვა სავაჭროებსა, ბიუროებსა და სოფლათ მომუშავე ქალებს, ვნახავთ, რომ ქალებმა მართლაც დიდი სამსახური გაუწიეს გერმანიას თავიანთი შრომით.

გერმანიაში უმუშევრათ არავინ რჩება: არც ბავშვი (თუ არ სწავლობს) და არც მოხუცი. ყველა ამათ შესაფერი სამუშაო ეძლევათ და გასამრჯელოსაც შესაფერს ღებულობენ. ამგვარად, საერთო ძალით სწარმოებდა მუშაობა, გაორკეცებული შრომით მზადდებოდა საჭირო საგნები და ამით აიხსნება ის გარემოებაც, რომ გერმანია არ დაიმშა, ძლიერი იყო შიგნით და გარეთაც.

ასე არ იყო არც რუსეთში და არც ჩვენში: ჩვენ არ გვქონდა ორგანიზაცია, ვიყავით დაბნეულები და რაც უფრო საგრძნობელი იყო—სამუშაო მუშა ხელს ეძებდა და მუშა—სამუშაოს, ერთმანეთს ვერ პოულობდენ. და თუ პოულობდენ, აქაც არ იყო თავისი მოვალეობის შეგნება არც მუშებისა და არც სხვებისგან. კიდევ უარესი მდგომარეობაა დღეს, როდესაც საქმეები ასე არეულია, მუშაობა არ სწარმოებს, პირველ საჭიროების საგნები ასე ძვირია და ბევრი რამ სულაც არ მოგვეპოვება.

რომ შევადარებ ჩვენს მოუწყობლობას გერმანიის მოწყობილებას, მაშინ ადვილად წარმომიდგება თვალწინ მიზეზები, რომელთა გამო ასეთ გაჭირვებას განვიცდით. მათს მაგალითს რომ მივბაძავდეთ, ჩვენც შევძლებდით რამდენიმეთ მაინც საქმის გამოსწორებას და საშინელი განსაცდელის თავიდან აშორებას. ჩვენზე, მუშებზე, ბევრი რამ არის დამოკიდებული, მუშათა ორგანიზაციებს ამ მხრით ბევრი რამ შეუძლიათ გააკეთონ და სწორეთ ჩვენი ყურადღებაც აქეთკენ უნდა იყოს მიქცეული.

ს. —ვა.

რუსეთში

(რუსი ამხანაგის წერილიდან)

დასასრული.

ყველაზე უფრო გაბოროტებულნი ამ ჟამათ ბოლშევიკების წინააღმდეგ არიან ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცები, ეს მოტყუებული, გაყვლეფილი ხალხი! მათ აღუთქვეს მიწაც, თავისუფლებაც და დიდი ხელფასი, ურჩევდენ იარაღი არ გაეგდოთ ხელიდან, სოფლათ მიჰქონდა ამ ხალხს მძიმე არტილერიაც. მაგრამ წარმოუდგენელი იყო ამ ხალხის განცვიფრება, როცა მათ იარაღის აყრა დაუწყეს ყუბანის, დონის ოლქში, თვით ბოლშევიკებიც ჰყრიდენ მათ იარაღს, ხშირათ, რა თქმა უნდა არ კმაყოფილდებოდენ ვინტოვკების და ტყვიების ჩამორთმევით, [illegible] ქონებას და ფულსაც. ის ჯარისკაცები, რომლებიც ფრონტიდან რუსეთში წინათ მივიდენ იარაღით ხელში—არ ჩაეწერენ წითელ-გვარდიაში და არც თოფები გაეყიდნათ, ლენინის დეკრეტის თანახმათ იარაღ-აყრილ იქნენ და ხმები იმის შესახებ, რომ სოფლებში ყველანი შეიარაღებულნი არიანო, სიცრუეა. თუ ზოგიერთ ალაგას კიდევ დარჩა ათეული თოფი და ტყვიისმფრქვეველი, ეს გამონაკლისია. არავითარი მიწა არ მიუღია ამ ჯარისკაცებს. დიდი ხელფასის შესახებაც დაპირება არ გამოდგა მართალი. ქარხნებში არ იღებენ სამუშაოთ, ვინაიდან მუშაობა შემცირდა. არც ოჯახში უცქერიან კარგათ ფრონტიდან დაბრუნებულს. სახლში არ ყოფნის დროს მისი ოჯახი გამდიდრებულა. პატარა მისი ბიჭი ერთი ცხენით დღეში 50—60 მანეთს და მეტსაც შოულობს. ფრონტიდან დაბრუნებულს ახლა ოჯახში ისე უცქერიან, როგორც მუქთა ხორას. ის კი, მოტყუილებული, იმედ-გაცრუებული ყოველ დღე ბოროტდება, რომლის გადმოსანთხევათ დროს ეძებს, მაგრამ რას გახდება ის უიარაღო, თავიდან ფეხამდე შეიარაღებული ხალხის, წითელი-გვარდიელების წინააღმდეგ. ბოლშევიკები ამას გრძნობენ და ცდილობენ არ შეუშვან ქალაქში ასეთი ხალხი, განსაკუთრებით სატახტო ქალაქში, სადაც მათ შეეძლოთ შეკავშირება.

ინტელიგენცია რუსეთში არავითარ ძალას არ წარმოადგენს, არავითარი გავლენა მას არ აქვს. ზოგჯერ ის რომელიმე ბურჟუაზიულ გაზეთში გამოჩნდება თავისი წერილის სახით, მაგრამ საბჭოთა მთავრობა გაზეთს ხურავს და განახლება გაზეთისა ხდება სხვა სახელით. ქალაქის და სხვა საზოგადო დაწესებულებებიდან ბოლშევიკების გამეფებისათანავე ბევრი მოსამსახურენი გავიდენ სამსახურიდან, რომელთა მდგომარეობა ახლა აუტანელია, მაგრამ ყველაზე უფრო აუტანელია სასამართლოს მოხელეთა, ნაფიც ვექილების და აფიცრების მდგომარეობა. ხშირათ შეხვდებით ქუჩაში ხანში შესულ აფიცერს, რომელიც გაზეთებს ჰყიდის. ახალგაზრდა აფიცრობა სხვადასხვა სამუშაო არტელებს ადგენს, სადგურებზე აფიცრები ტვირთავენ და სცლიან ვაგონებს. აფიცრის მიღება სამსახურში, რომელიმე საზოგადოებრივ დაწესებულებაში აკრძალულია. ბევრი აფიცერი დადგა დარაჯათ ეზოებში, მაგრამ კომისარის დეკრეტით ბინის კომიტეტებს ებრძანათ სამი დღის განმავლობაში დაეთხოვათ სამსახურიდან აფიცრები და სამხედრო მოხელენი. ამაზე უარესათაა საქმე აფიცერთა ქვრივ-ობლების დახმარების შესახებ. ასეთი ოჯახები პირდაპირ შიმშილობენ—არ იღებენ ხაზინიდან არც ჯამაგირს, არც დახმარებას და თუ რომელიმე მათგანს გასაყიდი არაფერი გააჩნია, უნდა იმათხოვროს.

შეიძლება ვინმემ იკითხოს—მართალია თუ არა, რომ მილიონ ნახევარი ჯარი სდგება რუსეთშიო. 25 აპრილს, როცა მე გამოვედი მოსკოვიდან, ამის მზგავსი არაფერი ყოფილა. მართალია, თებერვლის გასულს ტროცკის დეკრეტის თანახმად უნდა შექმნილიყო წითელი არმია, გამოცხადებული იყო მოხალისეთა მობილიზაცია. გამოცხადდენ უმეტესად ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცები და რა გაიგეს, რომ თვეში 7 მ. 50 კაპ. ექნებოდა მათ ჯამაგირი იმ დროს, როცა წითელი გვარდიელები 35 მანეთს იღებდენ დღიურათ, გაბოროტდენ, აღარ ინებეს ჯარში შესვლა და ხელი მოჰკიდეს უფრო ხელსაყრელ საქმეს—ტომრებით პურის ყიდვა-გაყიდვას. აფიცრებსაც ნაბრძანები ჰქონდა გამოცხადებულიყვნენ, მაგრამ მეათედი ნაწილიც არ მისულა. ასე დასრულდა ეს მობილიზაცია. მობილიზაციის მოხდენა რუსეთში ამ ჟამად ყოვლად შეუძლებელია თუ ძალით არ იქნა ხალხი გაყვანილი. ამის ძალა კი ბოლშევიკებს არ შესწევთ. ლაპარაკობენ აგრეთვე ბევრს იმის შესახებ, თითქოს ბოლშევიკები მარჯვნით გადახრილიყვნენ, მაგრამ მე ეს არ მჯერა. აქ მე გავიგონე კავკასია რუსეთს გამოეყო და ამით ღალატი ჩაიდინაო. მე კი ვფიქრობ, რომ ამით შეიძლება კავკასიის ხსნა. რაც მეტი ერები ჩამოშორდება ამ ჟამად რუსეთს კი არა არამედ—ბოლშევიკებს მით უფრო აშკარათ დარჩებიან ბოლშევიკები განმარტოვებულნი და იძულებული იქნებიან დასტოვონ თავიანთი პოზიციები. მე ველიკოროსი ვარ. მთელი ჩემი სიცოცხლე ხალხისთვის მიშრომია და თამამად ვიტყვი: ნუ შეგეშინდებათ სიტყვების. არავითარი ღალატი არ არის რუსეთის მიმართ იმაში, რომ ამიერ-კავკასიაში მცხოვრები რუსები ემსახურებიან ამიერ-კავკასიის რესპუბლიკას გინდ საქართველოს რესპუბლიკას და როცა ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგება, შესაძლებელია გაერთიანება კვლავ მოხდეს.

მოსკოვიდან მე გამოვედი 25 აპრილს. ვიმგზავრე მოსკოვ-სარატოვ-ასტრახან-ბაქოთი. მოსკოვის გაზეთები იშვიათად სწერდენ კავკასიის და ამიერ-კავკასიის შესახებ. 18—21 მარტს ბაქოში მომხდარი ამბები, მხოლოდ 15 აპრილს გამოქვეყნდა. გზაში ამიერ-კავკასიის შესახებ ისეთ საშიშარ ამბებს ამბობდენ, რომ ადამიანს თმა ყალყზე დაუდგებოდა, მაგრამ ჩემი წამოსვლა აუცილებელი იყო და მეც წამოველ. მოსკოვის ახლო-მახლო ადგილებში სურსათის ნაკლებობაა. ბუფეტები სადგურებზე არ არის.

სოფლელების მიერ გამოტანილი სურსათი ზოგიერთ სადგურებში მოიპოვება. კვერცხი მაგ. 10 ცალი ფასობდა 4 მანეთი, ძეხვი 7—8 მანეთი გირ., პური არ იშოვებოდა. არც ჩაი იყო, ვინაიდან შაქარი არ არის. რამდენათაც ვშორდებოდით მოსკოვს, იმდენათ სურსათის შოვნის სიძნელე აღარ იყო. სარატოვში ყველაფერი იყო, თუმცა ძვირი. მინდოდა მდ. ვოლგით მოგზაურობა, მაგრამ „ნაციონალური ფლოტი“ არ მუშაობს უფულობის გამო, ვინაიდან სათბობ მასალას ნისიად არ აძლევენ. სარატოვში თეთრი პურის ფქვილი 60 მან. ფასობს ფუთი. იქვე მახლობელ ქალაქში—პოკროვსკაიში 28 მანეთი, მაგრამ ეს ქალაქი სამარის გუბერნიაშია, და იქიდან გამოტანის ნებას კომისარი არ იძლევა. ასტრახანში კიდევ უფრო სიაფე იყო. ასტრახანი მეტათ დაზარალებულა ყაზახებსა და ბოლშევიკების ბრძოლის დროს. ერთი მთავარი ქუჩა სრულიად დანგრეულია, ასევე დანგრეულია ქალაქის სხვა უბნები, მაგრამ ამ ჟამად იქ სიწყნარეა. ასტრახანიდან გემით ბაქოში გავემგზავრეთ. შევიარეთ პეტროვსკში, სადაც ბოლშევიკები მუსულმანებზე და კონტრ-რევოლიუციონერებზე გამარჯვებას დღესასწაულობდნენ: როგორც კი გაჩერდა ჩვენი გემი 4 ახალგაზდა მცველი დააყენეს, მოვიდა ნახევრად მთვრალი კომისარი თავის ამხანაგებითურთ და შეუდგენ დოკუმენტების შემოწმებას. შემდეგ ისინი ამოვიდენ გემზე და ბევრ უსიამოვნებას ჰქონდა ადგილი აფიცრებთან. როცა საბუთებს ათვალიერებდენ, ამბობდენ—ცოტანი არ დაგვიხვრეტია თქვენი ძმები, თქვენ კიდევ ბევრი ხართო და სხ. მაგრამ მიუხედავათ ამისა უნდა აღინიშნოს, რომ წითელ გვარდიელები და ჯარისკაცები წინანდებურათ არ ეპყრობიან ინტელიგენციას, ბურჟუაზიას და განსაკუთრებით აფიცრობას. აფიცრებისთვის ახლა აღარ არის საჭირო თავიანთი ჩინობის დამალვა. მხოლოდ არ უნდა ატარებდე „პაგონებს“ „კაკარდს“ და იარაღს, ვისი ნებართვაც არ უნდა გქონდეს თან. ერთი ცენტრალური მთავრობა არ არსებობს. ადგილობრივი საბჭოები კი არავითარ მთავრობას არ ცნობენ.

შემდეგ ის ასწერს ბაქოს ამბებს, ყურადღების ღირსია შემდეგი ადგილი: ნობელის წარმოებაში დანიშნული იყო ხელ-ახალი არჩევნები. შაუმიანის წინააღმდეგ სასტიკ აგიტაციას ეწევიან. ბოლშევიკებს საშიშროთ მიაჩნიათ სომხების ასე მრავლათ შეიარაღება, რომ სომხობა წითელ-გვარდიელებზე მრავალრიცხოვანი არ დარჩეს. მუსულმანებს იარაღი აყრილი აქვთ. მთავრობამ წინადადება მისცა სომხებს, რომლებიც ნაციონალურ ჯარში არ შედიან იარაღი დაეყარათ, მაგრამ მათ უარი სთქვეს.

ვინაიდან თფილისს-ბაქოს შუა გზაზე ბრძოლა იყო ბოლშევიკებსა და მუსულმანებს შორის ის ჩამოსულა თფილისში ბაქო—შანდროვკა—ყიზლიარ—პროხლადნაია—კავკავით.

ქუთაისის ავ-კარგი

შრომის ბირჟა

თუ ოდესმე მუშათა კლასისათვის მწვავეთ იყო დასმული უმუშავართა საკითხი, მით უმეტეს ეს არის დღეს, როდესაც ოთხი წლის მსოფლიო ომის მიმდინარეობამ სრულიად გაანადგურა წარმოება და უმუშავართა ხელით ბაზარი აავსო.

ამ გარემოებას დიდი ყურადღება მიაქცია თავის დროზე რუსეთის დროებითმა მთავრობამ. შრომის სამინისტროს განკარგულებით შეუდგენ იმ ორგანიზაციის შექმნას, რომელსაც უნდა განენაწილებია მუშა ხელი წარმოებაში. ასეთ ორგანიზაციებათ იყო აღიარებული შრომის ბირჟები. ამ ორგანიზაციების შექმნას ჩვენშიაც დიდი ყურადღება მიექცა. ამ რამოდენიმე თვის წინათ შრომის სამინისტროს განკარგულებით დაგზავნილ იქნა კავკასიის ყველა დაბა-ქალაქებში ინსტრუქტორები შრომის ბირჟების მოსაწყობათ.

გასული წლის დამლევს ქუთაისში გვეწვია შრომის სამინისტროს ინსტრუქტორი ქალი ამხ. დერკოვსკაია, რომელმაც ინახულა მუშათა პროფესიონალური კავშირების გამგეობები და მათთან გამართა მოლაპარაკება შრომის ბირჟის დაარსების შესახებ. ის ვრცლათ ესაუბრა მუშებს შრომის ბირჟის მნიშვნელობის და მისი ორგანიზაციების შენების შესახებაც.

ამ ორგანიზაციის დაარსებას მუშები დიდის სიხარულით შეხვდენ. თავიანთი მხრიდან აირჩიეს 6 რწმუნებული შრომის ბირჟის კომიტეტის წევრებათ. ხსენებულმა ინსტრუქტორმა ინახულა ვაჭარ-მრეწველთა ბიურო, რომელსაც გააცნო ხსენებული ორგანიზაციის დაარსება და იმათაც აირჩიეს 6 რწმუნებული შრომის ბირჟის კომიტეტის წევრებათ. როდესაც ორივე მხარის რწმუნებულები შეიკრიბენ, ვაჭარ-მრეწველთა წარმომადგენლებმა მოითხოვეს, რომ შრომის ბირჟას გამგე და საქმის მწარმოებელი-მდივანი ყოფილიყო მათი და აგრეთვე ისინი წინააღმდეგი იყვენ, რომ თავმჯდომარე დაენიშნა ქალაქის თვითმართველობას.

როგორც ვიცით შრომის ბირჟის თავმჯდომარეს ყველგან ნიშნავს ქალაქის თვითმართველობა, რასაკვირველია, უფრო ნეიტრალურ პიროვნებას, მაგრამ ვაჭარ-მრეწველთა წარმომადგენლები ხედავენ რა, რომ ქალაქის თვითმართველობა მემარცხენე ელემენტებისაგან შესდგება მათი შეხედულობით, არ შეიძლებოდა ნეიტრალური თავმჯდომარის დანიშვნა, რაც სინამდვილეს არ შეესაბამებოდა. ამ მოთხოვნილებას მუშების წარმომადგენლები უარყოფით შეხვდენ. მუშების წარმომადგენლებმა მოითხოვეს, როგორც საერთოდ ხდება, თავმჯდომარე დაენიშნა ქალაქის თვითმართველობას, გამგე და მდივანი კი შეთანხმებით. ამრიგათ ვერ მოხდა შეთანხმება პირველ კრებაზე. მას შემდეგ განვლო აგერ 5 თვემ და არავინ იცის, არსებობს თუ არა შრომის ბირჟა. უფრო შეიძლება ითქვა რომ არ არსებობს, რადგანაც მის მოქმედებას კაცი ვერ ხედავს. შეიძლება ეს აიხსნებოდეს საერთოთ იმ მდგომარეობით, რომელშიაც ვიმყოფებოდით და ვიმყოფებით ეხლაც, მაგრამ უნდა სიმართლე ითქვას, რომ ამ მხრივ ორივე მხარემ ამ ორგანიზაციისადმი დიდი გულგრილობა გამოიჩინა. საჭიროა ამ ორგანიზაციის განახლებას მიექცეს დიდი ყურადღება, ჩემის აზრით მუშათა პროფესიონალურმა კავშირების ცენტრმა უნდა დასვას ეს საკითხი დღიურ წესრიგში და მიიღოს ყოველგვარი ზომები, რომ ხსენებული ორგანიზაცია აღსდგეს და შეუდგეს მუშაობას. მით უმეტეს ეს არის დღეს საჭირო, როდესაც უმუშევართა ხელი ბაზარზე დღითი-დღე იზრდება და არ არის ორგანიზაცია, რომელიც დაეხმარება მუშებს ადგილის შოვნაში.

ი. სადმეტროველი.

საადგილ-მამულო რეფორმა

ამიერ-კავკასიის საადგილ-მამულო გამგეობამ საერთო სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის მამულათ აღიარა თფილისის მაზრაში ციციანოვის მამული „ზეთანია აკურისი“ და დაადგინა მიიღოს ეს მამული თავის განკარგულებაში. ამავე გამგეობამ სასურველათ სცნო საადგილ-მამულო კომიტეტის მიერ საგლეხო და სათავადაზნაურო ბანკების მიწების მიღებამდე და მათი მმართველობის მოწყობამდე დარჩეს ამ მამულებში არსებული ადმინისტრაცია, რომლის შესანახათ უნდა მიეცეთ დახმარება. საადგილ-მამულო კომიტეტებს წინადადება ეძლევა პირველ რიგში ასეთი მამულები მიიღონ.

ქუთაისის გუბერნია. მაისის განმავლობაში ქუთაისის მაზრაში სამმა კომისიამ მიიღო 51 მამული. განსაკუთრებულმა კომისიამ მიიღო ანანოვის მამული, რომელიც 5000 დესეტინას შეიცავს. შორაპნის მაზრაში მიღებულია სამი მამული და თავდება ბაგრატიონის მამულის მიღება, რომელიც 600 დესეტინამდეა. რაჭის მაზრაში მიღებულია ერთი მამული და მოკლე ხანში დასრულდება კიდევ სამის მიღება. სენაკის მაზრაში სრულდება მინგრელსკის მამულის მიღება, რომელიც 13,000 დესეტინას შეადგენს. ზუგდიდისა და ლეჩხუმის მაზრებში ანარქიის გამო მიმღებმა კომისიებმა დროებით შესწყვიტეს მუშაობა. ოზურგეთის მაზრაში ფრონტის სიახლოვის გამო მიმღები კომისიების მუშაობა დღემდე შეჩერებული იყო.

პროვინცია

ქ. სამტრედია. 3 ივნისს მოხდა სამხედრო რევოლიუციონურ ტრიბუნალის მიერ გასამართლება ჯარისკაცის პირველ ქართულ ქვეითა დრუჟინის მეორე როტის კოსტა ალექსის ძე ჯიქიასი, რომელსაც ბრალათ ედებოდა ყაჩაღობა და ქურდობაში მონაწილეობის მიღება. საქმე ასი იყო: შორაპნიდან ჩამოსული სოფლელები, რომლებიც იყვენ [illegible] პლატფორმაზე სიმინდის სასყიდლათ მათი სახელი და გვარი: მელიტონ სტეფანეს ძე მაღლაკელიძე, ლუკა სტეფ. მაღლაკელიძე, მიხეილ ლუკას ძე მაღლაკელიძე, მიტროფანე დავითის ძე მშვენიერიძე და გიორგი რევაზის ძე ებანოიძე, ეკითხებოდენ ერთი მეორეს, თუ სად ეშოვნათ სიმინდი. ამ დროს იქ პლატფორმაზე ყოფილა ჯარისკაცი კოსტა ალ. ჯიქია. იმას მოუკრავს ყური ლაპარაკისთვის, მისულა მათთან და უთქვამს, რომ მე მაქვს სიმინდი გასაყიდიო, შეევაჭრენ. ჯიქიამ დაუფასა ფუთი 35 მანეთათ, რამოდენიმე ხანს ევაჭრენ და ბოლო დროს გაურიგდენ 30 მანეთათ; მერმე გაემგზავრენ სიმინდის მყიდველები და ჯიქია ერთათ რკინის გზით აბაშის მხარეზე ფეხით. რომ გაიარეს ცოტა მანძილი, მოესმათ ხმა—დაწექით, დაგხოცავთო. სიმინდის მყიდველები შეშინდენ და ვერაფერი მოახერხეს. კიდევ მოესმათ ხმა: დაწექით, თორემ დაგხოცავთო. ამის შემდეგ პირველათ დაწვა თურმე თითონ ჯიქია, მერე კი სხვები. ვინაიდან ღამე იყო, დამცემი ავაზაკები ვერ იცნეს სიმინდის მყიდველებმა, მხოლოდ ეს შეამჩნიეს, რომ იქვე ახლოს იყო მაღალი ანწლი და შიგ იყო ჩამალული ორი კაცი. ერთი იმათგანი ამოვიდა და პირველათ გაჩხრიკა ჯიქია, მერე მივიდა სიმინდის მყიდველებთან და სათითაოდ გაჩხრიკა ყველა და რაც მოეპოვებოდათ, სულ წაართვა. ერთს სიმინდის მყიდველს მოესწრო და პაჭანკში ჩაემალა ფული. რადგანაც ჯიბეში ვერ უპოვეს, სალტები შემოახიეს, ბევრიც სცემეს და ბოლო დროს უნახეს. გაძარცვის შემდეგ დაიმუქრენ: არაფერი არ სთქვათ, საიდანაც მოსულხართ, იქ წადით და გამოუშვეს უკან. გაძარცულებში აგრეთვე იყო ერთი ბავშვი, რომელსაც მამა არ ჰყოლია, ძმები ომში ჰყოლია, ერთი ფუთი სიმინდის ფასი ჰქონია წამოღებული, 30 მანეთი, და ისიც მძარცველებმა წაართვეს. გაძარცულები დაბრუნდენ სამტრედიაში. ამათი წამოყვანილი კოსტა ალექსის ძე ჯიქია კი წაჰყვა იმ ბოროტმოქმედებს. მეორე დღეს რკინის გზის მილიციის უფროსის მიერ მიღებული ზომებით დაჭერილ იქნა კოსტა ალ. ჯიქია და ჯიქიასვე ჩვენებით გიორგი მიმინოშვილი, როგორც მისი ამხანაგი დაცემაში და წარდგენილი სახედრო რევოლიუციონურ ტრიბუნალის წინაშე. დატყვევებული ჯიქია გამოტყდა თავის დანაშაულში, ყველა გაძარცულებმა მას ხელი დაადვეს, მიმინოშვილს კი არა. ამასთანავე ჯიქიას დაუმტკიცდა გ. მიმინოშვილის ოჯახიდან სიმინდის და ფულის მოპარვა. ყველა ამ ბრალდებას სამხედრო-რევოლიუციონურმა ტრიბუნალმა დაუმატა ისიც, რომ ჯიქია არის ჯარისკაცი, ესე იგი რევოლიუციის და წესიერების აქტიური დამცველი. აქ კი ჯიქიამ ამ მოვალეობას შესრულების მაგიერ, თვითონ ჩაიდინა, როგორც ზევით სჩანს, არა სასურველი საქმე და გარდა ამისა, კერძო ინტერესით ხელი დაადო მცირე წლოვან, ამ საქმეში უდანაშაულო პირს, (როგორც იქ გამოირკვა) გ. მ. მიმინოშვილს. გაითვალისწინა რა ყოველივე ეს სამხედრო-რევოლიუციონურმა ტრიბუნალმა, მიუსაჯა კოსტა ალ. ჯიქიას სიკვდილით დასჯა დახვრეტის საშუალებით. გაძარცულების უკიდურეს მდგომარეობას მიაქცია ყურადღება სამხედრო-რევოლიუციონურმა ტრიბუნალმა და მისწერა ქალაქის თვითმართველობას საჩქარო დახმარება აღმოეჩინა მას სიმინდის მიწოდებით.

ამავე დღეს სამხედრო რევ. ტრიბუნალმა ექვსასი მანეთით დააჯარიმა ჯიქიას მიერ ხელდადებული გ. მიმინოშვილი. მართალია, როგორც გამოირკვა, ის არ ღებულობდა ჯიქიასთან გაძარცვაში მონაწილეობას, მარა მას, როგორც თვითონ განაცხადა ტრიბუნალის წინაშე, უყიდია და გაუყიდია რევოლვერი. ამ რევოლვერის ყიდვა-გაყიდვისათვის სამხ. რევ. ტრიბუნალმა მას აკმარა 600 მანეთი ჯარიმა, როგორც მცირე წლოვანს. ამ ექვსასი მანეთიდან 300 მანეთი გადაეცა გაძარცულებს და 300 მანეთი მ., ჯ.-კაც. და გლ. საბჭოს. —ო.

სამეგრელო. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის გამოცხადებას სამეგრელოში თანაგრძნობით შეხვდენ. ამ ბოლო დროს მთავრობის მიერ მტკიცე ნაბიჯების გადადგმამ სამეგრელოს დიდი ნაწილი კალაპოტში ჩააყენა, მთელი სენაკის მაზრა ფეხზე დადგა უკანასკნელ სამობილიზაციო მოწოდებაზე. სულ რაღაც ორ-სამ დღეში რამოდენიმე ათასი ჯარის-კაცი გამოცხადდა სამხედრო პუნქტებში. მიუხედავათ იმისა, რომ ზავის შესახებ პირველმა დეპეშამ გაცხელებულ მობილიზაციას მოუსწრო, ჯ.-კაცები მაინც არ გაბრუნებულან უკან. ზოგან თვითონ კომისარებმა შეაჩერეს დროებით მობილიზაცია. ჯარის-კაცების მიღება გრძელდება.

ქ. ახალსენაკი. 3 ივნისს ახალ სენაკში ჩამოვიდნენ ევგენი გეგეჭკორი, გიზო ანჯაფარიძე და იოსებ სალაყაია. მათ სენაკის მაზრის ამხანაგებს გააცნეს ჩამოსვლის მიზანი—სამეგრელოს რაზმის შედგენა. მათ განზრახვას ამხანაგები თანაგრძნობით შეხვდენ. რომ არ მოსულიყო დეპეშა ზავის შესახებ, რაზმები საჩქაროდ შესდგებოდა თფილისში გასაგზავნათ. ამისთვის ნიადაგი მზათაა და მათი რაზმის შედგენა სულ რამოდენიმე დღის საქმე იქნება.

დ. აბაშა. 2 ივნისს აქ ამხ. გრიგოლ ჩოჩიამ ლექცია წაიკითხა მიმდინარე მომენტზე, რამაც დიდი შთაბეჭდილება დასტოვა. ლექცია უფასო იყო. ლექტორი მხურვალე ტაშისცემით იქნა დაჯილდოვებული. გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც სრულ თანაგრძნობას უცხადებენ საქართველოს ეროვნულ საბჭოს, დროებით მთავრობას და აღუთქვამენ მას დახმარებას. დიდ დამსწრეებში მხოლოდ ორმა მისცა ხმა წინააღმდეგ.

ასეთ ლექციების მოთხოვნილება ხალხში დიდია. ყველგან მოითხოვენ მდგომარეობის გაცნობას და განსაკუთრებულის ხალისით და ნდობით ეკიდებიან ჩვენს ცნობილ ბელადებს. მეტად სასურველი იქნება, რომ ისინი მთავარ პუნქტებში მოხსენებებს გააკეთებდენ.

ზავმა ერთნაირი სიხარული გამოიწვია, მაგრამ აღფრთოვანებას ადგილი არ ჰქონია. ზავის პირობები ყველას სამარცხვინოთ მიაჩნია ქართველ ხალხისათვის. ფ—ლი.

ს. გურჯაანი (კახეთი). სამშაბათს 11 საათზე გურჯაანის სადგურზე მოვიდენ დამოუკიდებელ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დავალებით ამხ. კოტე ანდრონიკაშვილი და რაფიელ ჩიხლაძე, რათა ხალხისთვის გაეცნოთ დღევანდელი მომენტი და მთავრობის მოქმედება.

გურჯაანის, ვეჯინის, კოლაგონის, ბაკურციხის, მუკუზნის, ჩუმლაყის, ახაშნის და ველისციხის ადმსარ. კომიტეტის, თავდაცვის გლეხთა საბჭოების წარმომადგენელნი და მრავალი სხვა პირნი ორას სულამდინ გამოცხადდენ კრებაზე დასასწრებლათ. კრება შესდგა რკინის გზის სადგურის თეატრის შენობაში. კრება გახსნა გურჯაანის რაიონის ადმ. კომიტეტის თავმჯდომარე კოლა ყალაბეგაშვილმა, რომელმაც მოკლეთ გააცნო სტუმრების ვინაობა და მათი მოსვლის მიზეზი. პირველათ ილაპარაკა ამხ. რ. ჩიხლაძემ, რომელმაც გააცნო კრებას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმოშობის მიზეზები, მისი დღევანდელი მნიშვნელობა და შედეგები, ოსმალეთის შემოსევის ნაყოფი და გერმანიასთან კავშირის შეკვრა. მოუწოდა ხალხს, რომ მათ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცვან სამშობლო და რევოლიუცია. შემდეგ კოტე ანდრონიკაშვილმა გააცნო ხალხს რევოლიუციის მონაპოვარი. სიტყვის, კრების და კავშირების თავისუფლების მნიშვნელობა, დღევანდელ მომენტში დემოკრატიული რესპუბლიკის მნიშვნელობა და მისი შენარჩუნება, დაცვა. მოუწოდა ხალხს შეედგინათ მოხალისეთა რაზმები და მიშველებოდენ წითელგვარდიელებს, რომლებიც თავგამოდებით იბრძვიან ოსმალთა წინააღმდეგ და იცავენ ჩვენს რესპუბლიკას. კრებაზე არჩეულ იქნა კომისია, რომელსაც დაევალა შედგენა იმ პირთა სიის, რომელთაც შეუძლიათ იარაღის ხმარება. კრებამ აღუთქვა, რომ ეცდებიან მოაგვარონ თავდაცვის საქმე, გაგზავნონ მოხალისენი და მით აიცდინონ ოსმალთა შემოსევა.

ნიკო ევაშვილი.

წერილი რედაქციის მიმართ

ქართველ მომღერალ მუსიკოსთა კავშირის გამგეობამ ივნისის 6 კრებაზე მოისმინა გაზ. „საქართველოს“ 109 ნომერში კ. ფოცხვერაშვილის ჰიმნ-საგალობელთა კონცერტის შესახებ მოთავსებული წერილი ილიკო აბაშიძისა, რომელშიაც უმართებულოთ არის მოხსენებული კომპოზიტორი კ. ფოცხვერაშვილი, ჰიმნ-საგალობელთა ნაკლისა და ღირსების მიუდგომელ განხილვის მაგიერ, მხოლოდ კ. ფოცხვერაშვილის პირადობას ეხება, რაიცა სამწუხარო-გათახსირებულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს, კავშირის გამგეობა თავის გულის-წყრომას უცხადებს ყველა ასეთ ცრუ—რეცენზენტს, მათ რიცხვში ვითომდა რეცენზენტს ილიკო აბაშიძესაც და ყველას მოუწოდებს უფრო ფაქიზად მოეპყრან ჩვენი ხელოვნების აღორძინების საქმეს და ასეთ უწმაწურს ლანძღვა-გინებაზე ხელი აიღონ.

გამგეობა.

სახალხო სახლი

სახალ. სახ. არსებ. ქართ. წარმ. მმართვ. წრე
ორშაბათს, 10 ივნის 1918 წ. წარმოდ. იქნება
უკანასკნელი წარმოდგენა

1

მაღაროს უფროსი მუშა

პიესა 1 მ. გერბიდონისა თარგ. ნ. გოცირიძისა

2

რაც გინახავს ვეღარ ნახავ

კომ. 3 მოქ. ა. ცაგარლისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი არჯევანიძე, ელ. ბარათაშვილი, თ. გოგოლაშვილი, ვ. მარგველაშვილი, ელ. იანქოშვილი, ნინონი, ს. რომანიშვილი-დგებუაძისა, ზ.ზ. გ. ანაშვილი, ნ. გოცირიძე, მ. გელიკურაშვილი, ამბ. ივერელი, მამაჯანოვი, ივანიძე, ალ. მეტრეველი, სალაყაია, ა. თავდგირიძე ნ. ჭანკვეტაძე და კ. ხახანაშვილი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ადგილების ფასი 1 მ. 40-დან 35 კ.-მდე.

რეჟ. კ. შათირიშვილი.

იყიდება

მოკლე ფიქრები ყუთისათვის

იკითხეთ „ერთობის“ რედაქციაში.

ექიმი ა. დ. ციციშვილი

შინაგან და ბავშვთა სნეულებანი. ავათმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილით 8—9 საათამდე, საღ. 5—7 ს. ჩერქეზოვის ქ. № 14.

სამკურნალო კაბინეთი

ექიმი ალექსანდრე დავ. კეკელიასი

მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ ტელეფონი 14—26

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე

მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 17—49.

ექიმი ქალი რ. ბ. ზიმლო-საგშვილია

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაზებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახლი № 82. ტელ. № 9—26.

ექიმი ი. ბ. კონიევი.

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე. ვერა, ვარდისუბნის ქ. № 3.

ექიმი ბ. დონხინი

პარიზის და ბერლინის უნივერსიტეტის ყოფილი დიდი ხნის ასსისტენტი იღებს თვალის-ტკივილებით ავათმყოფებს დილის 9—12 ნახ. საათამდე, საღ. 4—7 საათამდე. მიხეილის პროსპექტი 76 (ხაიკინის კბილის საექიმო). ტელეფონი 7—38.

ექიმი ნ. ა. ფოფხაძე

მიიღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ საღამოს 5—7 საათამდე.
გრაფის ქუჩა № 8. მონასელიძის ბინა.

ექიმი ნ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, **სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა,** ქარებით და სხვა შინაგან **სნეულებით** ავათმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე. ელექტრიზაცია და მას საჟი. მისამართი: მოსკოვის ქუჩა № 11.

დ. ხაჩხურეში ექიმის თანაშემწე ვ. ბ. ლაშხი

იღებს ავადმყოფებს, უკეთებს კანქვეშ ნემსებს ციებ-ცხელებიანს, სისხლ-ნაკლებიანს და სიფილისიანს უკეთებს მასაჟს, უცრის ყვავილს, უხვევს ჭრილობებს და ათაშაგს. მისამართი: რკინის გზის სადგურთან აბრამიშვილის სახლებში.

იქვე ექიმის თან. ქალი მ. პ. ზაზარინა-ლაშხი ღებულობს ავადმყოფ ქალებს და აძლევს დარიგებას.

ექიმი ზ. მ. მუხაძე

იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 57; აფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელ. № 5—77

რაიონული კომიტეტი „ნაძალადევი“

დღეს 9 ივნისს დილის 10 საათზე, თეატრი „ნაძალადევის“ შენობაში იწვევს

მოქალაქეთ საერთო კრებაზე

დასასწრებლად. ყველ მოქალაქე მეთერთმეტე უბნისა საჭიროა დაესწროს.

დღის წესრიგი არის მოხსენებები: 1) რაიონული კომიტეტისა, 2) სასურსათო კომიტეტისა, 3) საექიმო-სანიტარული კომისიისა, 4) სამსაჯულო კომისიისა და სხვა.

2—2 მდივანი ი. ფელისტაკი.

შეშა

სასურსათო განყოფილება აცხადებს, რომ შეშა ქალაქში თანდათან ილევა; შეშის შემოტანის საქმის მოსაწესრიგებლათ აუცილებლად საჭიროა მოქალაქეთა, სახლისა და რაიონულ კომიტეტებში შეკავშირება. თანახმად რკინის-გზით საქონლის გამზიდველ ბიუროს ცნობით, კომიტეტებს უფლება აქვთ ფოთისა და თფილისის რაიონში რკინის-გზით შეშის რიგს გარეშე გაზიდვისა. ზემოხსენებულ ორგანიზაციებმა, რომლებსაც სურვილი აქვთ ამ უფლებით ისარგებლონ, უნდა მიმართონ ნებართვის მისაღებათ ქალაქის საბჭოს სასურსათო განყოფილება (რტიშჩევისა და ბებუთოვის ქ. კუთხე).

3—1 **ქალაქის საბჭოს სასურსათო განყოფილება.**

სამეურნეო ნაწარმოებთა გამსაღებელი და მეურნეობისათვის საჭირო მასალის

შემძენი კოოპერატივთა კავშირი

აუწყებს ყველა კოოპერატიულ, საზოგადოებრივ და კერძო დაწესებულებათ, აგრეთვე სოფლის მეურნეთ და კერძო პირებს, რომ კავშირი მიიღებს საკომისიო წესით გასასაღებლათ სამეურნეო ნაწარმოებთ (ხორბალი, ფურაჟი, ხილი, შეშა, თამბაქო, ღვინო, მატყლი და სხვა) **მცხოვრებთათვის საჭირო და სამრეწველო ფაბრიკატებს** როგორც ბითუმათ (პარტიობით) ასევე წვრილ-წვრილათ.

კავშირის კანტორა იმყოფება მოსკოვის ქუჩა № 4. ტელეფონი 6—22. 3—1

მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაბაევის შესახვევი, № 1.